**Ключевые слова:** биологическая ткань, интоксикация, инсектициды, интермиттирующее воздействие

Среди различных подходов, используемых для расшифровки механизма токсического действия пестицидов, важное место занимают биохимические исследования, проводимые на разных уровнях структурной организации целостного организма – органном, тканевом, клеточном [7]. При этом всегда учитывается, что характер ответной реакции целостного организма, в первую очередь, зависит от степени проникновения веществ, распределения во внутриклеточных структурах, метаболизма и детоксикации [5].

Инсектициды, в большинстве являются жирорастворимыми соединениями, поэтому они легко проникают в биологические структуры. Большинство фосфорогранических инсектицидов обладает сродством к холестерину. Они легко адсорбируются на липопротеидной поверхности нервных окончаний. Было показано, также, сродство фосфорогранических инсектицидов к липидам крови и их первичное влияние на липидные комплексы мембран эритроцитов. Ряд авторов [1] считает особо важным процесс взаимодействия фосфорогранических инсектицидов с белками и образование белковых компонентов [5].

В настоящее время экспериментально показано, что в механизме действия фосфорогранических инсектицидов в кишечнике, главная роль принадлежит способности препарата образовывать комплексы с желчными кислотами, в частности, с таурехолевой кислотой, и, таким образом, поступать в кишечную стенку, из которой, в составе триглицеридной фракции хиломикронов, проникать в кровь.

Липиды тканей представляют собой группу химических соединений, обладающих различными специфическими биологическими функциями. В настоящее время окончательно не выяснено, с какими липидами преимущественно связываются инсектициды, как происходит их проникновение в клетку, накопление, влияние на функциональное состояние субклеточных структур и интенсивность отдельных биохимических процессов.

В реальной производственной обстановке сельскохозяйственные работники подвергаются постоянному и прерывистому действию агрохимикатов. При работе с пестицидом часто наступают перерывы, что обусловлено специфическим назначением инсектицидов (периферические обработки против вредных организмов).

Принимая во внимание существующее представление о неблагоприятном влиянии фактора интермиттирования на процесс интоксикации некоторыми сельско-хозяйственными инсектицидами [6], целью работы являлось изучение конкретных фаз действия наиболее распространенных фосфорорганических инсектицидов на организм подопытных животных.

## МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Опыты проведены на 36 белых крысах и представлены 3 сериями наблюдений, по 12 крыс в каждой. Крысы первой серии наблюдали инсектициды (карбофос и хлорофос) непрерывно в течение одного месяца, крысы второй серии наблюдений получали инсектициды прерывисто, с промежутком в 3 дня, в течение месяца. Третья серия наблюдений являлась контрольной.

В качестве критерия токсического действия были выбраны следующие интегральные тесты:

- поведение и внешний вид животного;
- масса тела;
- морфологическая картина крови и ее ферментная активность;
- клинические проявления интоксикации;
- относительная масса внутренних органов.

При изучении инсектицидов с антихолинэстеразным действием (хлорофос), исследовалась активность холинэстеразы крови. При ингаляционном воздействии хлорофоса были определены, также, показатели, характеризующие функциональное состояние печени (тимоловая проба, ферментная активность) и центральной нервной системы (суммарная пороговая активность, спонтанная двигательная активность, условнорефлекторные показатели). В отдельных случаях оценивали, также, состояние симпатоадреналовой системы).

Величина используемых доз и концентрация инсектицидов подбирались с учетом их комулятивных свойств. Животные, подвергшиеся воздействию инсектицидов, за время опыта суммарно получали, при постоянном и прерывистом воздействии (первая и вторая серии наблюдений), равные количества препаратов.

## РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Проведенные нами исследования показали, что карбофос в дозе 85,0 мг/кг, при прерывистом воздействии, оказывал более выраженное токсическое действие на

организм экспериментальных животных, чем при постоянном введении. Уже на 10 день наблюдений были зафиксированы сдвиги иммунобиологического характера (нарушение комплементарной и фагоцитарной активности, изменение титра лизоцима). У всех крыс наблюдалась резкая потеря массы тела, появление клинических симптомов отравления и, в 12% случаев, гибель животных.

Особенно наглядным было различие между прерывистым и непрерывным действием карбофоса. Различие проявлялось со стороны верхних дыхательных путей. Проведенные нами патоморфологические исследования органов дыхания крыс, подвергавшихся непрерывному воздействию инсектицида, выявили только умеренную инфильтрацию слизистой оболочки среднего и заднего отделов носовой полости, в то время как при прерывистом воздействии происходило ярко выраженное утолщение слизистой, выраженная инфильтрация кругл клеточных элементов, гиперплазия покровного эпителия, очаговая деструкция слизистой оболочки.

О неблагоприятном влиянии прерывистной (волнообразной) интоксикации пестицидами свидетельствуют, также, данные интермиттирующего режима, причем, при коротких (2-3 дневных) перерывах, токсическое действие более выражено по сравнению с длительными перерывами (10-15 дней).

Согласно проведенным исследованиям, карбофос, при прерывистом воздействии, вызывал менее выраженные нарушение по сравнению с монотонными (непрерывными).

Хлорофос при непрерывном и прерывистом воздействии оказывал сходное по силе токсичности действие.

Выявленные различия биологической активности пестицидов, при непрерывном и прерывистом действиях, могут быть связаны, с одной стороны, с особенностью их структуры, а с другой стороны – своеобразием механизма их действия.

Полученные данные о различном влиянии прерывистого и непрерывного действия инсектицидов необходимо учитывать в процессе обоснования норм борьбы с сельско-хозяйственными вредителями [2].

Вместе с этим, для научно-обоснованной [4] разработки эффективных методов профилактики и патогенетического лечения возникающей патологии среди людей, постоянно или прерывисто подвергающихся интоксикации пестицидами, необходимо проведение дальнейших исследований, направленных на выяснение механизмов отрицательного воздействия пестицидов и патогенеза последствий их влияния на организм человека или животного.

## ЛИТЕРАТУРА

1. Врачинский К.К., Маковски В.Н. Применение пестицидов и охрана окружающей среды. Киев, Высшая Школа. 1999.
2. Галинов С.Н., Розенгард В.И. Фармакология и токсикология фосфорорганических соединений. Москва, Мир, 2001.
3. Каган Ю.С. Токсикология фосфорорганических инсектицидов. Москва, Медгиз, 1999.
4. Клинцарс А.А. Действие пестицидов на микроорганизмы. Рига, Знание, 1995.
5. Кудрюков В. В. Действие пестицидов на растительные и животные организмы. Москва, Коллесс, 1992.
6. Лебедев Ю.Д., Штейнберг А.Н. Сборник официальных материалов по контролю за ядохимикатами, применяемыми в сельском хозяйстве. Москва, 1976.

## პესტიციდების ტოქსიკური მოქმედების საბითხები

გ. ესართაძე

საქართველოს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი

### რეზოუმე

ცდები შესრულებულია 36 ოქთრ ვირთაგვაზე და წარმოდგენილია 3 ჯგუფად, 12 ცხოველი თითოეულში. პირველი ჯგუფის ცხოველები დებულობდნენ ინსექტიციდებს უწყებ რეჟიმში, ხოლო მეორე ჯგუფის ცხოველები – წყვეტილად, რამოდგნიმე დღის ინტერვალებით. მესამე ჯგუფი იყო საკონტროლო. ზემოქმედება ხდებოდა ერთი თვის განმავლობაში.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ვირთაგვების ხომატო-ვეგეტატიური სისტემა არა-ერთგვაროვნად იცვლება. ინსექტიციდებით პერმანენტული და ინტერმიტული ინტოქსიკაციის პირობებში. პერმანენტული ზეგავლენა უფრო მკაფიო ტოქსიკოზს იწვევდა, ვიდრე ინტერმიტული.

### TOXIC PROPERTIES OF THE PESTICIDES

*G. Esartia*

Institute of Psychiatry. Tbilisi

### SUMMARY

In three groups of the albino rats toxic influences of thiophos and chlorophos were investigated during the one month period. Group I of animals was given certain dose of a pesticide regularly, on a daily basis, Group II – intermittently, with several days intervals between a substance administration. Group III served as control. It was found that thiophos impact was higher during intermittent administration as compared to the persistent injection.

საქ. ქუთაისი, აკადემიური გამოცემა, 2005, ტ. 31, № 5.  
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 5.  
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 5.

ISSN-0321-1665

## გაგირერი ბიოცენოზი, აერობული და ანაერობული ბაქტერიული ფლორა ნააღრევი მშობიარობის დროს

ს. ჭურაბიშვილი, ი. მამამთაგრიშვილი\*, ქ. ქერებელიძე\*\*,  
ქ. აფრიძონიძე

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი; \* ქ. ჩაჩავას  
სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინ-  
სტიტუტი, თბილისი; \*\* სამედიცინო ფირმა “ციტო”, თბილისი

მიღებულია 19.07.2005

შესწავლილი იყო 15 ნააღრევი მშობიარე ქალის ვაგინური ბიოცენოზის  
მიკრომორფოლოგია და აღმოჩნდა, რომ პაციენტების 33%-ს აღნიშნებოდა  
ბაქტერიული ვაგინოზი, 20%-ს – ნორმოცენოზი, 18%-ს – კანდიდოზური ვაგინოზი,  
9%-ს – ტრიქომონალურ-კანდიდოზური ვაგინოზი, 4,9%-ს – ტრიქომონალური  
ვაგინიტი და ბაქტერიული ვაგინოზი, 3,1%-ს დესქვამატური ანთებითი ვაგინიტი.  
აერობული ფლორიდან დომინირებდა *S.epidermidis*, საფუარისებრი სოკო *C.al-*  
*bicans* და დიფტერიოდები, ანაერობული ბაქტერიებიდან აღინიშნა ლაქტობა-  
ცილები და ბაქტერიოდები. მიკრობული ფლორა წარმოდგენილი იყო, ძირითადად,  
შერეული ინფექციების სახით.

საკვანძო სიტყვები: ნააღრევი მშობიარობა, ვაგინური ბიოცენოზი, აერობული  
ბაქტერიები, ანაერობული ბაქტერიები, ვაგინოზები

არსებობს მრავალი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინფექცია ასრულებს  
ერთ-ერთ მთავარ როლს ნააღრევ მშობიარობაში. გონექოები, ქლა-  
მიდიები, ტრიქომონალები, სტრეპტოკოკები, ბაქტერიოდები, გარდნერელები,  
მიკოპლაზმები და ნაწლავური ჯგუფის ბაქტერიოდების ინგაზია ხელს  
უწყობს საშვილოსნოს ნააღრევ შეკუმშვას, სანაყოფებულების ნააღრევ  
დაღვრას და ნააღრევ მშობიარობას [13, 17].

ნააღრევი მშობიარობისას წამყვანი პათოლოგია ბაქტერიული ვა-  
გინოზია [15]. 2002 წელს, ნ.კინტრაიას მიერ შესწავლილი იყო 22 კვირაზე  
აღრე შეწყვეტილი ორსულობის მიზენები, სამი წლის (1999-2001 წ.)  
დინამიკაში. აღნიშნული გამოკვლევის მონაცემებით, ნააღრევი მშობია-  
რობის მიზეზი იყო ბაქტერიული ვაგინოზი (30,9-33,6%) [1], როდესაც  
მკვეთრად მცირდებოდა ლაქტობაცილების რაოდენობა და დაახლოებით

ასევე მკვეთრად იზრდებოდა ანაერობების რიცხვი, რის შედეგადაც ქვეით-დებოლა წყალბადის ჟევანგის კონცენტრაცია. pH გადადიოდა ტუტიანობაში და ამ ფონზე ისზრდებოდა გარღნერელების, ენტერობაქტერიების და მიკოპლაზმების რაოდენობა [17, 14].

ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხშირად ხდება B სეროჯგუფის სტრეპტოკები. ეს მიკრობები ხშირად იწვევენ ახალშობილთა სეფსისს.

ნაადრევი მშობიარობის რისკ-ფაქტორი შეიძლება იყოს მიკოპლაზმური ინფექციები, კერძოდ, *Mycoplasma hominis* და *Uroplasma urealiticum*. ნაწვენებია, რომ ეს მიკრობები 16-20 კვირის ვადაზე იწვევდნენ სანაყოფებულების გახეოჭვას და შემდგომ ნაადრევ მშობიარობას.

ნაადრევი მშობიარობის მიზეზი შეიძლება გახდეს ენტეროფარინგიალური მიკროორგანიზმები: *E.Coli*, კლებისიელები, ჰემოფილები, ოქროსფერი სტაფილოკოკი. ზოგიერთი მონაცემებით ამ მიკრობებზე მოდის 5-10% [12, 17].

ნაადრევი მშობიარობის მიზეზი შეიძლება იყოს ქლამიდიოზი [12, 16].

ნაადრევი მშობიარობის მიზეზი შეიძლება იყოს უროგენიტალური კანდიდოზი [8, 18]. საფუარისებური სოკოების ამ ჯგუფიდან 60-90%-ში ითესება *Candida albicans*. ხოლო *C. Tropicalis*, *C.Glabrata*, *C.Krusei* ითესებიან იშვიათად [11]. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა *C.Albicans*-ის შემცირება, ხოლო სხვა სოკოების მატება [6].

ნაადრევი მშობიარობა შეიძლება დაკავშირებული იყოს უროგენიტალური ტრაქტის არასპეციფიკურ პროცესებთან. კერძოდ, ვაგინიტებთან, ცერვიციტებთან. აღნიშნული დაავადებები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ანაერობული და აერობული მიკრობების მიერ [3], რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ამნიონიტები, სეპტიური აბორტები და ნაყოფის საშვილოსნოსშიდა პათოლოგიები [2]. ასეთ პირობით პათოგენურ აგენტებად შეიძლება გამოვიდნენ – ბაქტერიოდები, პრევოტელები, ფუზობაქტერიები, ენტეროკოკები, მორაქსელები, ლეპტოტრისები [5]. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შერეულ ინფექციებს. ასევე არასპეციფიკურ ანთებებში უნდა განვიხილოთ ჰერპესვირუსული და ციტომეგალოვირუსული ინფექციები [9].

კვლევის მიზანს შეადგენდა ნაადრევად მშობიარე ქალებში აერობული და ანაერობული ბაქტერიული ინფექციების, ასევე უჯრედშიდა პათოგენების – ქლამიდიების, მიკოპლაზმების, ურეაპლაზმების, ჰერპესვირუსის და ციტომეგალოვირუსების შესწავლა.

## გასაღა და გათოდები

მასალად გამოყენებული იყო პ. ჩაჩიავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის ორსულთა პათოლოგიის განყოფილებაში ნაადრევად მშობიარე ქალების ვაგინური ჩამონაფხვი, რომელსაც ვიღებდით ბამბის სტერილური ტამპონით. შესწავლილი იყო 15 პაციენტი, რომელთაც უზარდებოდათ მიკრობიოლოგიური გამოკვლევა აერობული მიკრობების გამოსავლენად, საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით [4, 7]. ანაერობული ბაქტერიების გამოკვლევა ტარ-

დებოდა სამედიცინო ცენტრ “ციტო”-ში, ფრანგულ ბიოტექნოლოგიურ ფირმა “ბიომერიო”-ს სისტემების გამოყენებით.

უჯრედშიდა ინფექციების შესწავლა ხდებოდა ლუმინესცენტური მიკროსკოპის მეთოდით, კუნის პირდაპირი მეთოდით, სპეციალური ნიშანდებული ანტისეცულებით – სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკური დაგნოსტიკის კათედრის ბაზაზე.

## უეღავა და მათი განხილვა

ნაადრევი მშობიარობის დროს ვაგინური ბიოცენოზის გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

### ვაგინური ბიოცენოზი ნაადრევი მშობიარობის დროს (n=15)

ვაგინური ბიოცენოზის ტიპი	პროცენტები
ნორმოცენოზი	20,0
ბაქტერიული ვაგინოზი	33,0
ქანდიდოზური ვაგინოზი	18,0
თრიქომონალური ვაგინიტი	18,0
თრიქომონალურ-ქანდიდოზური ვაგინიტი	9,0
თრიქომონალური ვაგინიტი და ბაქტერიული ვაგინიტი	4,9
დესქეამატური ანთებითი ვაგინიტი	3,1
ატროფიული ვაგინიტი	1,2
გაურკვეველი ეტიოლოგიის ლეიკორეა	0,8

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ვაგინური ნაცხის შესწავლისას, ძირითადად დგინდებოდა ბაქტერიული ვაგინოზი, რომლის დროსაც ქალებს აღნიშნებოდათ ჭარბი ჰომოგენური გამონალენი, pH 6,0-7,0. ამინური ტესტი დადგებითი, მკვეთრი თვეზის სუნით. ზედაპირული ტიპის ეპითელიოციტებით, დიდი რაოდენობით სამიზნე “Clue” უჯრედებით, სუსტად გამოხატული ლეიკოციტური რეაქციით, მიკროორგანიზმების ჭარბი რაოდენობით, დისპაქტერიოზით, ლაქტობაციოლების მკვეთრი შემცირებით და გრამ ვარიაბელური კოური ბაქტერიებით.

მეორე ადგილზე, ნაადრევად მშობიარ ქალებში აღინიშნებოდა ნიკრომორფოლოგიური ნორმოცენოზი, თეთრი არასომებური გამონალენით pH – 3,7-4,5. ამინური ტესტი უარყოფითი, ზედაპირული და შუამდებარე ეპითელიოციტებით, სამიზნე “Clue” უჯრედების (-) არარსებობით, ლეიკოციტები მსედველობის არეში – 1-10. მიკრობების საერთო რაოდენობა ჭარბი, ლაქტობაციოლური ხარისხი მე-3 – მე-4, სოკის უჯრედები არ აღინიშნებოდა. 18%-ში აღინიშნებოდა კანდიდოზური ვაგინოზი, ჭარბი ხაჭოსებური გამონალენით, pH – 4,5-5,0. ამინური ტესტი უარყოფითი. “Clue”-ს

უჯრედები – უარყოფითი. ეპითელიოციტები ზედაპირული, შუამდგბარე და პარაბაზალური. ლეიკოციტები მხედველობის არეში – 10-20. მიკროორგანიზმები ჭარბი რაოდენობით. ლაქტობაცილური ხარისხი მე-2 – მე-3. სოკოს უჯრედები დიდი რაოდენობით.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მწვავე ტრიქომონადურ ვაგინიტებს. საშოს ლორწოვანის ანთებადი ცელილებებით, ჭარბი თხიერი, მოყვითალო ქაფიანი გამონადენით, pH – 5,0-6,0. ამინური ტესტი და “Clue”-ს უჯრედები (-) არ აღნიშნებათ, გრამ(+) და გრამ(-) კოკები და ჩხირები, ტრიქომონადები – დიდი რაოდენობით.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მწვავე ტრიქომონადურ-კანდიდოზურ ვაგინიტებს (9%). მნიშვნელოვანია ტრიქომონადური ვაგინიტებისა და ბაქტერიული ვაგინიტების სინოზი (4,9%). ასევე მნიშვნელოვანია დესქვა-მატური ანთებითი ვაგინიტების წილი (3,1%), რომლის დროსაც აღინიშნება ჭარბი ჩირქოვანი გამონადენი. ამინური ტესტი და “Clue”-ს უჯრედები არ აღინიშნება. პარაბაზალური ეპითელიოციტები, ლეიკოციტები მხედველობის არეში – 30-40, მიკრობების საერთო რაოდენობა მცირე, გრამ(+) კოკების სახით.

## ცხრილი 2

**აერობული და ანაერობული ვაგინური ბაქტერიული ფლორა,  
ნაადრევად მშობიარე ქალებში**

პაციენტი (პირობითი ნომერი)	აერობული ფლორა	ანაერობული ფლორა
1	S.epidermidis; Difteroides spp.	Bifidobacterium adolescentis უხვი ნაზარდი
2	S.aureus; C.albicans	–
3	S.epidermidis; C.albicans	Lactobacillus acidophilus უხვი ნაზარდი
4	S.epidermidis; C.albicans	–
5	-	Lactobacillus acidophilus უხვი ნაზარდი
6	Corinebacterium spp.; C. albicans	–
7	S.epidermidis; C. albicans	Lactobacillus minutus უხვი ნაზარდი
8	S.epidermidis	Bacteroides uniformis
9	S.epidermidis; C.albicans	–
10	S.epidermidis	–
11	S.aureus; C.albicans	Fuz. nucleatum
12	S.epidermidis; C.albicans	Peptostreptococcus prevoti
13	S.epidermidis; Corinebacterium spp.	B.urealiticum
14	S.epidermidis	Peptostreptococcus tetradius
15	S.epidermidis; C.albicans	Lactobacillus minutus

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ვაგინური ფლორა ძირითადად წარმოდგენილია შერეული ინფექციებით. მონო ინფექციით წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა – *S.epidermidis*-სახით. აერობების ასოციაცია აღინიშნებოდა 4 შემთხვევაში. ძირითადად ეს იყო დაინფექციის სახით – *S.epidermidis* + *C.albicans* და *Corinebacterium* spp. + *C.albicans*. 9 შემთხვევაში აღინიშნა აერობების და ანაერობების ასოციაცია. ხოლო ერთ შემთხვევაში აერობების ზრდა არ აღინიშნა, მაშინ როცა ანაერობებიდან აღინიშნებოდა *L.acidofilus*. მიღებული შეჯამებულია ცხრილ 2-ში.

ანაერობული ბაქტერიებიდან 4 შემთხვევაში ამოითესა ლაქტობაცილები, სამ შემთხვევაში – ბაქტეროიდები. ჰეპტოსტრენტოკოები ამოითესა ორ შემთხვევაში, ფუზობაქტერიები – ერთ შემთხვევაში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ნაადრევი მშობიარობის დროს აერობული ფლორიდან დომინირებს *S.epidermidis* (60%), *C.albicans* (60%), *Corinebacterium* spp. (20%), *S.aureus* (13,7%), ხოლო ანაერობებიდან – *L.minutus* და *L.acidophilus* (13-13%-ში). დანარჩენი ანაერობები ითესებოდა თითოეულ შემთხვევაში.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ნაადრევი მშობიარობის დროს წამყვანი ადგილი სტაფილოკოკურ ინფექციებს, კანდიდოზს, დიფტერიიდებს და ლაქტობაცილურ ფლორას უჭირავს.

## ლიტერატურა

1. ქინგრაია ნ. დისერტაცია მედ. მეცნ. დოქტ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
2. Акопян Е.Э., Емельянова А.И., Кравченко Н.Ф. и др. Тез. докл. VI Российского национального конгресса “Человек и лекарство”, 19-23 апреля 1999, Москва.
3. Баранов А. Журн. акуш. и жен. бол., 1998, спец. вып., 14.
4. Бигнер М.О. Справочник по микробиологическим и вирусологическим методам исследования. Москва, Медицина, 1982.
5. Кира Е.Ф. Бактериальный вагиноз. Ст-Петербург, 1998.
6. Покровский В.И. Позднеев О.К. Медицинская микробиология. Москва, Медицина, 1999.
7. Прилепская В.Н., Анкирская А.С. Байрамова Г.Р., Муравьев В.В. Вагинальный кандидоз. Москва, 1997.
8. Сергеев А.Ю., Сергеев Ю.В. Кандидоз. Москва, 2000.
9. Тетц В.В. Справочник по клинической микробиологии. Ст-Петербург, 1994.
10. Тютюнник В.Л. Ж. гинекология, 2001, 1, 3-8.
11. Divers M.J., Lilford R.J. Contemp. Rev. Obstet. Gynecol., 1999, 12, 75-79.
12. Evaldsen G., Garlstrom A., et al. Med. Microbiol. Immunol., 1980, 168, 283-297.
13. Hillier S., L. Krohn M., Rabe L.K. et al. Clin. Infect. Dis., 1993, 16 (Supplement 14), 9273-9281.
14. Kurki T., Sivonen A., Renkonen O.V. et al. Obstet. Gynecol., 1992, 80, 173-177.
15. Martin D.H., Kowitsky L.E., Eschenbach D.A. et al. Am. J. Obstet. Gynecol., 1980, 162, 34-39.
16. McDonald H.M., O'Loughlin J.A., Jolley P. et al. Br. J. Obst. Gynecol., 1991, 98, 427-435.
17. McGregor J.A., French J. I., Richter R. et al. Am. J. Obstet. Gynecol., 1990, 163, 1465-1473.

## ВАГИНАЛЬНЫЙ БИОЦЕНОЗ, АЭРОБНАЯ И АНАЭРОБНАЯ БАКТЕРИАЛЬНАЯ ФЛОРЫ ПРИ ПРЕЖДЕВРЕМЕННЫХ РОДАХ

*S. Zurabishvili, I. Mamamtavrishvili\*, M. Kereselidze\*\*, K. Apridonidze*

Государственная медицинская академия Грузии; \* Институт перинатальной медицины и акушерство-гинекологии им. акад. К.В. Чаччава; \*\* Медицинская фирма “Цито”

### РЕЗЮМЕ

В 15 случаях преждевременных родов была изучена вагинальная микроморфология. Установлено, что у 33% пациентов был выявлен бактериальный вагиноз, у 20% – нормоценоз, у 18% кандидозный вагиноз, у 9% трихомонадный-кандидозный вагинит, в 4,9% – трихомонадный вагинит и бактериальный вагиноз, в 3,1% десквамационный воспалительный вагинит.

Из аэробной флоры доминирует *S.epidermidis*, дрожевой грибок – *C.albicans* и дифтероиды, а из анаэробных бактерий – лактобациллы и бактероиды. Микробная флора, в основном, была представлена в виде смешанных инфекций.

### VAGINAL BIOCENOSIS, AEROBIC AND ANAEROBIC BACTERIAL FLORA IN PRETERM BIRTH

*S. Zurabishvili, I. Mamamtavrishvili\*, M Kereselidze\*\*, K. Apridonidze*

Georgian State Medical Academy, Tbilisi; \* K. Chachava Institute of Perinatalogical Medicine and Gynecology, Tbilisi; \*\* Medical Firm "Cito", Tbilisi

### SUMMARY

After studying vaginal micromorphological biocenosis in the 15 preterm birth cases, we found that 33% of patients had bacterial vaginosis, 20% normocenosis, 18% candidasis vaginosis, 9% trichomoniasis-candidasis vaginitis, 4,9% trichomoniasis vaginitis and bacterial vaginosis, 3,1% desquamative inflammatory vaginitis; of aerobic flora dominated *S.epidermidis*, *C.albicans* and diphtheroids, of anaerobic bacteria – lactobacilli and bacteroides. Microbial flora basically was represented with mixed infection.

## სრია. როგორც ანტიოქსიდანტი

ნ. თხილავა, ხ. ჯალაძესტელიძე, ქ. ეგაძლაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 12.07.2005

ანტიოქსიდანტური პრეპარატები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე შედი-ცინაში მეცნიერებლებისა და პროფილაქტიკისათვის. ნაშრომში წარმოადგინდია სოიას ანტიოქსიდანტური გავლენის შეფასება საექსპერიმენტო კორთაგვების (n=27) სისხლში ქოლესტერინის კონცენტრაციასა და ჰემოგლობინის დერივატების პროცენტულ თანაფარდობაზე. აღმოჩნდა, რომ სოიათი 3-თვიანი კვების შემდეგ, სისხლში ქოლესტერინის დონე 1,23-ჯერ დაჭვეოთდა ( $p<0,001$ ), LDL-ის დონე შემცირდა 1,34-ჯერ ( $p<0,05$ ), ხოლო HDL-ის კონცენტრაცია სარწმუნოდ არ შეიცვალა ( $p>0,1$ ). HbO<sub>2</sub> კონცენტრაცია გაიზარდა 3,2%-ით ( $p<0,005$ ), Hb რაოდენობა არ შეიცვალა, ხოლო MetHb დონე შემცირდა 3,3%-ით ( $p<0,01$ ). ვფიქრობთ, რომ მეტაბოლიზმში ასეთი ცვლილებები სოიაში შემავალი კომპონენტების ანტიოქსიდანტური თვისებებითაა განვირობებული.

**საკანძო სიტყვები:** ანტიოქსიდანტი, თავისუფალი რადიკალები, ქოლესტერინი, ჰემოგლობინი, ვირთაგვა

ანტიოქსიდანტები როგორც ნაერთებია. ისინი მონაწილეობენ თავისუფალი რადიკალების გაუცნებლებაში, რითაც უზრუნველყოფენ ორგანიზმის დაცვას საზიანო გარემო ფაქტორებისაგან [8]. თავისუფალი რადიკალების სიჭარეებს უკავშირებენ არა მარტო ისეთი დაავადებების განვითარებას, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა (ინფარქტი, ინსულტი), ონკოლოგიური, ნეიროდეგენერაციული (პარკინსონის, ალცაიმერის) დაავადებები და სხვა, არამედ მრავალ ფიზიოლოგიურ მდგომარეობასაც: მშობიარობას, სიბერეს, კლიმატერიულ მდგომარეობას და სხვ. [4]. აღნიშნული მდგომარეობების დროს ბუნებრივ ანტიოქსიდანტურ საშუალებებს დიდი როლი ენიჭება.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ძლიერ გაიზარდა ინტერესი სოიას და მისი პროდუქტების მიმართ, მათი შესაძლო სასარგებლო გავლენის გამო მეტაბოლიზმზე [5]. ეპიდემიოლოგიური კვლევით ნაჩვენებია, რომ სიმსივნის, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების, ასევე ოსტეოპოროზული მოტების მიმართ გაცი-

დებით ნაკლებია იმ პოპულაციებში, რომელთა დიეტა მდიდარია სოიას პროდუქტებით [7].

სოია ფიტოესტროგენების მდიდარი წყაროა [7]. კვლევის აქტუალობის თვალსაზრისით, ფიტოესტროგენებიდან ყველაზე საინტერესო ქვეჯუფს იზოფლავონები წარმოადგენს; სოიას იზოფლავონებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენისტეინი და დაიზეინი [5, 7]. სწორედ ამ ბიოლოგურად აქტივური ნივთიერებებითაა განპირობებული სოიას გავლენა ორგანიზმები. ცნობილია, რომ ფლავონოიდები ანტიოქსიდანტური თვისებებით ხასიათდებიან [7]. ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სოიას ანტიოქსიდანტური ბუნების გავლენის შეფასება ექსპერიმენტული ვირთაგვების ზოგიერთ ბიოქიმიურ მაჩვენებელზე.

## კასალა და გათოდება

კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ვისტარის ჯიშის ზრდასრული მდედრი ვირთაგვები (200-250 გრ,  $n = 27$ ), რომელთა მირითად საკვებს 3 თვეს განმავლობაში წარმოადგენდა სოიას ფაფა (დღეში საშუალოდ 60 გ). საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებს ( $n = 21$ ) ეძლეოდათ შერეული (ამ ჯიშისთვის შესაბამისი) საკვები. ვირთაგვების მოკვდინებას ვაწარმოებდით დეკაპიტაციით.

საკვლევ მასალას წარმოადგენდა ვირთაგვას სისხლი, რომლის მიღება ხდებოდა მოკვდინებისთანავე. საერთო ქოლესტერინის, ასევე ლიპოპროტეინების ფრაქციების კონცენტრაციას ვსაზღვრავდით Accutrend-GCT ტიპის რეფლექტოფოტომეტრით, ხოლო ერთორციტებში ოქსიჰემოგლობინის ( $\text{HbO}_2$ ), დეოქსიჰემოგლობინის (Hb) და მეთჰემოგლობინის (MetHb) კონცენტრაცია ისაზღვრებოდა სპეციფიკურ მეთოდით [1]. ექსპერიმენტის შედეგები დამუშავებულია სტილენტის t-ტესტით და სარწმუნოა.

## გადეგები და მათი განხილვა

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, სოიათი დატვირთული ვირთაგვების სისხლში საერთო ქოლესტერინის დონე 1,23-ჯერ შემცირდა ( $p<0,001$ ), ამასთან, დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის – LDL-ის დონე შემცირდა 1,34-ჯერ ( $p<0,05$ ), ხოლო მაღალი სიმკვრივის, HDL-ის, კონცენტრაცია სარწმუნოდ არ შეიცვალა ( $p>0,1$ ) (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ქოლესტერინისა და მისი ფრაქციის კონცენტრაციათა ცვლილება

მაჩვენებელი	კონტროლი	სოია
საერთო ქოლესტერინი, mg/dL	$183,6 \pm 3,04$	$150,2 \pm 4,65$ ( $p<0,001$ )
LDL, mg/dL	$130,63 \pm 2,4$	$97,6 \pm 3,22$ ( $p<0,05$ )
HDL, mg/dL	$48,4 \pm 1,81$	$49,6 \pm 2,14$ ( $p>0,1$ )

ცნობილია, რომ LDL-ის ძირითადი ფუნქცია ქოლესტერინით პერიფერული ქსოვილების მომარაგებაა [2, 3]. ეს პროცესი ხორციელდება უჯრედის მემბრანის რეცეპტორთან LDL-ზე არსებული აპოლიპოპროტეინ B-100-ის მეშვეობით. უჯრედშიდა გარდაქმნის შედეგად მიღებული თავისუფალი ქოლესტერინი [3], ერთი მხრივ, აინჰიბირებს ქოლესტერინის სინთეზს მისი ბიოსინთეზის მთავარი მარტენილირებელი ფერმენტის, HMG-CoA-რეჯუქტაზას, დათრგუნვით; მეორე მხრივ, კი ACAT-ის მეშვეობით ეთერიფიციორდება და უჯრედში ინახება [2, 3]. LDL-რეცეპტორის უჯრედის ზედაპირზე დაბრუნება დამოკიდებულია ქოლესტერინის მიმართ უჯრედის მოთხოვნილებაზე და ხორციელდება down-regulation ან up-regulation კით. ეს პროცესი რეგულირდება LDL-ის გენის ტრანსკრიპციის საშალებით [2]. თავისუფალი რადიკალების სიჭარბისას LDL ქიმიურ მოდიფიკაციას განიცდის, რის შედეგადაც უჯრედული რეცეპტორი მას ვეღარ აღიქვამს და სისხლში იმატებს LDL-ის კონცენტრაცია [2, 3]. აღწერილი პროცესის ინაბირება შეიძლება მოახდინოს ანტიოქსიდანტები ბუნების ნივთიერებებმა, რომლებიც თავისუფალი რადიკალების “შემბოჭველებს” და, შესაბამისად, გამანეიტრალიზებს წარმოადგენენ [4, 8]. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ექსპერიმენტი არ არის სატარგებული ოქსიდაციური სტრესის პირობებში, ეს არ გამორიცხავს თავისუფალი რადიკალების არსებობას და LDL-ის მოდიფიკაციას [4, 8]. აღსანიშნავია, რომ ორგანიზმში არსებობს ენდოგენური ანტიოქსიდანტები სისტემა, რომელიც აბალანსებს თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებას, თუმცა მრავალი დაავადების დროს ან რაიმე გარე ზემოქმედებით, შესაძლოა, ეს ბალანსი დაირღვეს ოქსიდაციური სტრესის სასარგებლოდ [4, 8]. ვფიქრობთ, რომ ჩვენს ექსპერიმენტში არსებული LDL-ის კონცენტრაციის 1,34-ჯერ შემცირება სრიაში შემავალი ანტიოქსიდანტები ნაერთების საშალებით განხორციელდა: მათ მოახდინეს არსებული თავისუფალი რადიკალების შებოჭვა, შეამცირეს LDL-ის უანგვის ხარისხი და სისხლში მისი კონცენტრაცია. რაც შეეხება საერთო ქოლესტერინის დონის დაკლებას, ეს ალბათ, LDL-ის შემცირებამ გამოიწვია.

სოიას ანტიოქსიდანტებ ბუნებას ადასტურებს ვირთაგვების სისხლში ჰემოგლობინის დერივატების პროცენტული თანაფარდობის ცვლილებაც (ცხრილი 2). როგორც ცხრილიდან ჩანს, სოიათი დატვირთული ვირთაგვების სისხლში ოქსიდემოგლობინის კონცენტრაცია გაიზარდა 3,2%-ით ( $p<0,005$ ), დეოქსიდემოგლობინის რაოდენობა არ შეიცვალა, ხოლო მეთემოგლობინის დონე შემცირდა 3,3%-ით ( $p<0,01$ ). ცხობილია, რომ ერითროციტებში მუდამ ხდება Hb-ის ენდოგენური უანგვა [3, 6]. შედეგად, Hb-ის  $Fe^{2+}$ -იუანგება  $Fe^{3+}$ -ად და MetHb მიიღება. ამ უკანასკნელს უანგბადის ტრანსპორტის უნარი არ გააჩნია. ჯანმრთელი ორგანიზმის ერთორციტებში  $Fe^{3+}$ -ის  $Fe^{2+}$ -ად ადგლენის მეტად ეფექტური ანტიოქსიდანტები სისტემა (მეტემოგლობინ-რედუქტაზა) არსებობს, რის შედეგადაც MetHb-ის დონე 3-4%-ს არ აღემატება [6]. თავისუფალი რადიკალების სიჭარბისას,

ჟანგვითი პროცესების ინტენსივობასთან დაკავშირებით, MetHb-ის კონცენტრაცია იმატებს [6], ხოლო ანტიოქსიდანტები ბუნების ნივთიერებები მის შემცირებას განაპირობებენ. ორგორც ჩანს, საკვებ რაციონში სოიას პროდუქტების გაზრდამ ორგანიზმის ანტიოქსიდანტები უნარი გააძლიერა, რამაც MetHb 3,3%-ით ( $p<0,01$ ) შეამცირა.

## ცხრილი 2

### ჰემოგლობინის დერივატების კონცენტრაციათა ცვლილება

მაჩვენებელი	კონტროლი	სოია
HbO <sub>2</sub>	95,1%	98,3% ( $p<0,005$ )
Hb	1,1%	1,2% ( $p<0,05$ )
MetHb	3,8%	0,5% ( $p<0,01$ )

ამრიგად, სოიას დამატებამ საკვებ რაციონში გამოიწვია ექსპერიმენტული ცხოველის სისხლის ლიპიდური სპექტრის გაუმჯობესება, რაც გამოიხატა საერთო ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის დონის შემცირებაში. გარდა ამისა, სოიას ანტიოქსიდანტები ბუნება გვიჩვენა, ასევე, ჰემოგლობინის დერივატების პროცენტულმა ცვლილებამაც.

ვფიქრობთ, სოიას პროდუქტების გაზრდას საკვებ რაციონში მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თავისუფალი რადიკალების სიჭარბით მიმდინარე როგორც ფიზიოლოგიურ, ასევე პათოლოგიურ მდგომარეობათა, განსაკუთრებით კი ლიპიდური პომეოსტაზის დარღვევით მიმდინარე პათოლოგიათა, პრევენციისათვის.

## ლიტერატურა

1. ხუდუზაური თ. საკანდ. დის. ავტორეფ., თბილისი, 1990.
2. *Champe P.C. et al.* In: Lippincott's Illustrated Reviews: Biochemistry 2th ed. USA, 1996.
3. *Devlin T.M.* In: Biochemistry with clinical correlations. USA, 1997.
4. *Diplock A.T.* Amer. J. Clin. Nutr., 1991, 53, 189S-193S.
5. *Kim H. et al.* Biochem. Soc. Trans., 2001, 29, 216-222.
6. *Mayas P., et al.* In: Harper's Biochemistry , 24<sup>ed</sup>, USA, 1996.
7. *Tham D.M., Gardner C.D., Haskell W.L.* J. Clin. Endocrinol. Metab., 1998, 83, 2223-2235.
8. *Walkins T.R.* In: Antioxidant status, Diet, Nutrition and Health. 1998, 479.

## СОЯ КАК АНТИОКСИДАНТ

*Н. Тхилава, С. Калмакхелидзе, Э. Экаладзе*

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

В современной медицине широко используется лечение и превенция антиоксидантными препаратами.

Целью исследования являлась оценка влияния сои на концентрацию общего холестерина и дериватов гемоглобина. Исследования проведены одинарным слепым методом на самках крыс Вистар ( $n = 27$ ), которые в течение 3-х месяцев питались соевой кашей ( $\approx 60$  г в день).

По статистически достоверным результатам исследования, в экспериментальной группе животных концентрация общего холестерина уменьшилась в 1,23 раза ( $p < 0,001$ ), концентрация LDL уменьшилась в 1,34 раза ( $p < 0,05$ ), а уровень HDL статистически не изменился. Процентное содержание  $HbO_2$  увеличилось в 3,2% ( $p < 0,005$ ), свободный гемоглобин Hb не изменился, а метгемоглобин – понизился.

Считаем, что наблюдаемое в эксперименте изменения в метаболизме организма крыс – результат влияния антиоксидантных свойств компонентов сои.

## SOYBEAN AS AN ANTIOXIDANT

*N. Tkhilava, S. Kalmakhelidze, E. Ekaladze*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

Antioxidants are widely used in treatment and prevention of numerous diseases. The aim of our study was to analyze an influence of soybeans on the cholesterol concentration and percentage correlation of hemoglobin derivatives in the blood of experimental rats ( $n = 27$ ). Following 3-months soybean diet cholesterol level decreased 1.23 times, LDL concentration decreased 1.34 times. No changes occurred in HDL concentration. The level of  $HbO_2$  increased by 3.2%, MetHb concentration decreased by 3.3%, while Hb did not change. We think that these results are due to the antioxidant capacities of the soybean ingredients.

## ზეღა სასუნთქმი გზების ლორწოვანი გარსების მიპროფლორა რიციტებისა და ფარინგიტების დროს

ე. კიკაჩევიშვილი, ქ. კერებელიძე, ქ. მავნიძე, ქ. ხარებავა,  
ხ. ორჯონიძე, ქ. აფრიდონიძე.

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი; სამედი-  
ცინო ცენტრი “ციტო”, თბილისი

მიღებულია 11.07.2005

2000-2004 წლებში შესწავლითია 527 პაციენტის ცხვირ-ხახის ლორწოვანის  
მიკროფლორა. ცხვირის ლორწოვანიდან აღებულია მასალის 71 (13,5%), ხოლო  
ხახიდან – 456 (86,5%).

მიქრობთა იდენტიფიკაცია ხდებოდა სათანადო სისტემების საშუალებით, მიკ-  
რობთა თითოეული ჯგუფისათვის. თითოეული სისტემა წარმოადგენს სტანდარ-  
ტიზებულ მიკრომეთოდს და მოცავს 20 ბიოციმურ ან ასმილაციურ ტესტს, რაც  
იძლევა მიქრობთა ფართო სპექტრს დაგენის საშუალებას.

ჩატარებული ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით ცხვირის  
ღრუს ლორწოვანის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში ღომინირებს სტაფილოკოკი  
(62,5%), H.influenzae – 18,1%-ში, S.serogroup G – 16,6%-ში, ხახის ლორწოვანში კი  
S.aureus – 51,3%, S.eipidermidis – 34,45%-ში, S.xylosus – 19,8%-ში, შერეული  
ინფექციების სახით კი ცხვირის ღრუს ლორწოვანში ღომინირებს S.serogroup G +  
C.albicans – 12,5%-ში. ხახის ლორწოვანში S.aureus + C.albicans – 19,2%-ში.

საკვანძო სიტყვები: მიკროექოლოგია, ცხვირ-ხახის ლორწოვანის მიკროფლორა,  
ახალი ტექნოლოგიები

ზეღა სასუნთქმი გზების ინფექციებს მნიშვნელოვანი ადგილი უქირავთ  
ინფექციურ პათოლოგიებში. ეს დაავადებები გვხვდება ყველა ასაკში და  
მათი ხევდრითი წილი განსაკუთრებით მატულობს ცივ სეზონებში. მიკრობიოლოგიური კვლევებით ზეღა სასუნთქმი გზების მიკროექოლოგიის  
შესწავლა ხშირად გამოიყენება სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტრო-  
ლის დროს სამედიცინო დაწესებულებებში, პროფილაქტიკის მიზნით, და  
ასევე დაავადების დროს, დიაგნოსტიკისათვის. საყოველთაოდ მიღებული  
ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენებოდა საბჭოთა და პოსტსაბჭოურ  
პერიოდში, ხშირად გამოიყენებოდა არასტანდარტულ პირობებში, გან-  
საკუთრებით პროვინციაში, სადაც აღინიშნებოდა საკვები ნიადაგების ხა-

რისხობრივი ვარიაციები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოანამდროვე საერთაშორისო სტანდარტის ტექნოლოგიებს. მათ შოროს აღსანიშნავია საქართველოში, სამედიცინო ცენტრ „ციტო“-ში დანერგილი ფრანგული ფირმა bioMerieux-ის მეთოდით, რომელშიც გათვალისწინებულია მაღალი ხარისხის სტანდარტული ნიადაგები, ხოლო მიკრობთა იდენტიფიკაცია ხდება სპეციალური Api-სისტემების საშუალებით, 20 და მეტი მეტაბოლიტური ტესტის ჩატარებით, რაც იძლევა გამოყოფილი მიკრობების გვარისა და სახეობების იდენტიფიკაციის საშუალებას, რაც შესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო შეგვეჯამებინა 2000-2004 წლებში ჩატარებული ზედა სასუნთქი გზების დაგადებათა მიკრობიოლოგიური კვლევების შედეგები, აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს საშუალებას მოგვცემს სათანადოდ შევაფასოთ მიკროეკოლოგიური სტატუსი.

## მასალა და გვთვება

შესწავლილ იქნა 527 პაციენტის ცხვირ-ხახის ლორწოვანის მიკროფლორა. ცხვირის ლორწოვანიდან აღებულმა მასალამ შეადგინა 71 (13,5%), ხოლო ლორწოვანიდან აღებულმა მასალამ – 456 (86,5%).

მიკრობთა იდენტიფიკაცია ტარდებოდა Api საიდენტიფიკაციო სისტემის საშუალებით, მიკრობთა თითოეული ჯგუფისათვის. სტაფილოკოკებისა და მიკროკოკებისათვის გამოყენებულია Api 20 Staph, კორინეფორმული ბაქტერიებისათვის – Api Coryne, სოკობისათვის Api20CAUX, ხოლო Neisseria-ას Haemophilus-ის, ranchamella-თვის Api NH, Listeria-ხოლო Api Listeria. თითოეული Api სისტემა წარმოადგენს სტანდარტიზებულ მიკრომეორდს და მოიცავს 20 ბიოქიმიურ ან ასიმილაციურ ტესტს, რაც იძლევა მიკრობთა ფართო სპეცირის დადგენის საშუალებას. Api ზოლების ფოსოებსა და მიკროსინჯარებში მოთავსებულია დჰეიდრირებული სუბსტრატი და მათში საკვლევი მასალის შეტანის შემდეგ ვახდენდით ინკუბაციას, 18-24 სთ-ის განმავლობაში, სათანადო ტემპერატურაზე. შემდეგ ვწარმოებდით შედეგების წაკითხვას საინტერესტაციო ცხრილით და ვსახლვრავდით მიკრობების გვარსა და სახეობას.

მასალას ხახის ლორწოვანიდან ვიღებდით უზმოზე ან საკვების მიღებიდან 2-3 საათის შემდეგ. ტამპონის საშუალებით მასალას ვიღებდით ნუშერებიდან, ნაქიდან, სასის რეალიდან, ისე, რომ არ მომხდარიყო შეხება ენის, პირის დრუს და ლოკების ლორწოვანთან. ცხვირის ლორწოვანიდან მასალას ვიღებდით ცხვირის ლრუში ტამპონის ლრმად შეკვანით, სკრების არარსებობის შემთხვევაში, ტამპონს წინასწარ ვასევებდით სტერილურ ფიზიოლოგიურ ხსნარში. მასალის დათესვა ხდებოდა შემდეგ საკვებ ნიადაგებზე: კოლუმბია აგარი 5% სისხლით და CAN მაინიბირებელი ნარევი, ჩამანის აგარი, „შოკოლადისებრი“ აგარი Poiyitex-ით, საბუროს აგარი და საბუროს აგარი ქლორამფენიკოლით, ტრიკაბ-ხრიას აგარი 5% სისხლით და კალიუმის ტელურიტით, კოლუმბია აგარი 5% სისხლით. ნათესების ინკუბაცია ხდებოდა 24-48 საათის განმავლობაში,

37°C-ზე, „შოკოლადისებრ” აგარზე 24-48 სთ-ის განმავლობაში 37°C, Gen-bag CO<sub>2</sub> პირობებში, საბუროს აგარზე – 24-72 სთ-ის განმავლობაში 30°C.

### უეღვები და გათი განხილვა

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ცხვირიდან აღებულ მასალაში (ცხრილი 1) 2000 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს *S.epidermidis* (62,5%), ხოლო *S.aureus*, *H.influenzae*, *Corynebacterium pseudodiphtheriticum* აღმოჩნდა 12,5%-ში. 2000 წელს მიკრობული ასოციაციები არ გამოვლინდა. 2001 წელს *S.epidermidis* აღმოჩნდა 36,2%-ში, *S.aureus* და *H.influenzae* – 18,1%-ში, ხოლო *S.pyogenes*, *Corynebacterium group F*, *S.xylosus* – 5,8%-ში. 2001 წელს მიკრობული ასოციაციები გამოვლინდა 10%-ში, ქრძო: *S.epidermidis* + *Coryn. Pseudodiphtericum*, *Coryn. group F* + *S.epidermidis*, *Ps.aeruginosa* + *Acinetobacter spp.* + *C.albicans*, *H.influenzae* + *S.epidermidis* – 2,5%-ში. 2002 წელს, წინა წლებით შედარებით, აღინიშნა *S.Aureus*-ის გამოყოფის მკეთრი ზრდა, 33,3%-მდე. *S.serogroup G* – 16,6%-ში, ხოლო *S.epidermidis*, *K.pneumoniae*, *S.mitis* – 8,3 %-ში, *Micrococcus spp.* – 0,3%-ში. 2002 წელს მიკრობთა ასოციაციის სახით გამოვლინდა: *S.simillans* + *Coryn. Group F*, *S.epidermidis* + *Coryn. Pseudodiphtericum*, *S.epidermidis* + *N.sicca* + *N.muccosa* – 8,3%-ში. 2003 წელს დომინირებს *S.aureus* – 22,2%-ში, შემდეგ *S.epidermidis* – 18,5%-ში, *Corynebacterium pseudodiphtericum* – 14,8%-ში, ხოლო *H.influenzae*, *S.serogroup G* – 3,7%-ში.

ცხრილი 1

### ცხვირის დრუს ლორწოვანის მიკროფლორა 2000-2004 წწ. (%)

წლები	ძირითადი		დამატებითი		შემთხვევითი	
2000	<i>S.epidermidis</i>	62,5	<i>S.aureus</i> , <i>H.influenzae</i> , <i>Coryn. pseudodiphtericum</i>	12,5	–	
2001	<i>S.epidermidis</i>	36,2	<i>S.aureus</i> , <i>H.influenzae</i>	18,1	<i>S.pyogenes</i> , <i>Coryn.</i> Group F, <i>S.xylosus</i>	5,8
2002	<i>S.aureus</i>	33,3	<i>S.serogroup G</i>	16,6	<i>S.epidermidis</i> , <i>K.pneumoniae</i> <i>Micrococcus spp.</i>	8,3 0,3
2003	<i>S.aureus</i>	22,2	<i>S.epidermidis</i> <i>Coryn. Pseudodiphtericum</i>	18,5 14,8	<i>H.influenzae</i> , <i>S.serogroup G.</i>	3,7
2004	<i>S.aureus</i> <i>S.epidermidis</i>	37,5 25,0	<i>Branchamella catarrhalis</i> , <i>S.adjacens</i>	12,5	–	

2004 წელს, წინა წლებთან შედარებით, აღინიშნა *S.aureus*-ის გამოყოფის მატება, რამაც 37,5% შეადგინა. *S.epidermidis* აღმოჩნდა 12,5%-ში, 2004 წელს მიკრობული ასოციაციები ამოგვეთესა 12,5%-ში, *S.serogroup G* + *C.albicans*.

ხახის ლორწოვანიდან აღებულ მასალაში 2000 წელს დომინირებს *S.epidermidis* – 14,6%-ში, *S.aureus* – 19,2%-ში, ხოლო *Proteus mirabilis* და

Enterobacter cloacae – 10%-ში. 2000 წელს მიკრობული ასოციაციები არ აღინიშნა. 2001 წელს *S.aureus* და *S.epidermidis* მიღებული იყო 34,45%-ში, *S.xylosus* – 19,8%-ში, *H.influenzae* – 2,3%-ში, ხოლო *S.serogroup G*, *Enterobacter cloacae*, *S.mitidis*, *Listeria spp.*, *K.oxytoca*, *C.albicans* – 0,8%-ში. 2001 წელს მიკრობული ასოციაციები ამოგვეოვესა – 4,2%-ში. 2002 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს *S.epidermidis* – 25,5%, *S.aureus* – 22,3%, *S.xylosus*, *S.serogroup G*, *S.mitidis* – 1,9%-ში, *S.serogroup G*, *S.hominis*, *S.haemolyticus*, *S.saprophyticus* – 0,9%-ში. 2002 წელს ასოციაციები გამოვლინდა 32,6%-ში, კერძოდ, *C.albicans* + *S.epidermidis* – 8,9%-ში, *N.sicca* + *N.mucosa* – 4,9%-ში, *S.epidermidis* + *Gemella morbillorum*, *S.salivarius* + *N.mucosa* – 2,3%-ში, *S.aureus* + *C.albicans* + *N.mucosa*, *S.serogroup G* + *N.mucosa*, *S.aureus* + *C.albicans* – 1,7%-ში, ხოლო *S.xylosus* + *Serracia marcescens*, *S.epidermidis* + *Ps.aeruginosa* + *C.albicans* – 1,2%-ში. 2003 წელს მონოკულტურის სახით *S.aureus* აღმოჩნდა 27,5%-ში, *S.epidermidis*-ის გამოყოფის სიხშირე, წინა წლებოთ შედარებით, შემცირდა 10,2%-მდე. *S.serogroup G* გამოიყო 3,15%-ში, *S.serogroup B*, *E.coli* 2,3%-ში, *S.salivarius* – 1,5%-ში, ხოლო *Proteus mirabilis*, *N.sicca*, *N.mucosa* გამოიყო – 0,7%-ში. 2003 წელს მიკრობული ასოციაციის სახით დომინირებს *S.aureus* + *C.albicans* – 18,9%, *N.sicca* + *N.mucosa* – 14,9%, *S.epidermidis* + *S.mitidis* – 7,8%, *S.xylosus* + *S.marcescens*, *S.aureus* + *C.albicans* + *N.mucosa* – 3,9%-ში, ხოლო *Morganella morganii* + *N.mucosa* + *S.oralis* გამოიყო 1,55%-ში, 2004 წელს აღინიშნა *S.aureus*-ის გამოყოფის მკეთრი ზრდა, რამაც 51,3% შეადგინა, ხოლო *S.epidermidis*, *N.sicca*, *N.mucosa* ამოთესა – 5,2%-ში, *E.coli* კი 3,9%-ში. 2004 წელს 11,1%-ში მიკრობული ასოციაციის სახით ამოგვეოვეს *S.aureus* + *C.albicans* – 7%, *N.sicca* + *N.mucosa*, *S.xylosus* + *S.marcescens*, *S.aureus* + *C.albicans* + *N.mucosa* – 3,9%-ში, *Morganella morganii* + *C.albicans* – 1,3%-ში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ 2000-2004 წლებში ჩატარებული გამოკელევების შედეგად მიკრობები გამოიყო, როგორც მონო- ისე შერეული ინფექციების სახით, მონოკულტურის სახით ცხვირის დრუს ლორწოვანიდან გამოიყო 60,56%-ში, ხოლო მიკრობული ასოციაციის სახით – 39,44%-ში, ხახის ლორწოვანიდან მონოკულტურის სახით გამოიყო 65,57%-ში, ხოლო ასოციაციის სახით – 34,43%-ში.

2000-2004 წლების განმავლობაში ჩატარებული ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით ცხვირის დრუს ლორწოვანის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში მონოკულტურის სახით დომინირებს სტაფილოკოკები – 62,5%, მე-2 ადგილს იკავებს *H.influenzae* – 18,1%-ში, შემდეგ მოდის *S.serogroup G* – 16,6%-ში, კორინობაქტერიები, კერძოდ, *Coryn. pseudodiphtericum* – 14,8%, *Branchamella catarrhalis* და *S.adjacens* – 12,5%-ში, *K.pneumoniae* – 8,3%-ში, ხოლო *S.pyogenes*, *Coryn. Group F*, *S.xylosus* ითქვებოდა – 5,8%-ში, *Micrococcus spp.* – 0,3%-ში. ხახის ლორწოვანის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში დომინირებს სტაფილოკოკები. კერძოდ: *S.aureus* – 51,3%-ში, მეორე ადგილს იკავებს *S.epidermidis* – 34,45%-ში. შემდეგ მოდის *S.xylosus* – 19,8%-ში, *Proteus mirabilis*, *Enterobacter cloacae* ითქვებოდა 10%-ში, *K.pneumonae* – 8,7%-ში,

N.sicca და N.mucosa კი – 5,2%-ში, E.coli – 3,9%-ში, S.serogroup G – 3,15%-ში, C.albicans – 1,9%-ში.

2000-2004 წლების დინამიკაში ცხვირის დრუს ლორწოვანიდან ყველაზე ხშირად ასოციაციების სახით ითქვებოდა: S.serogroup G + C.albicans – 12,5%-ში, S.simullans+Coryn. Group G, S.epidermidis + N.sicca + N.mucosa – 8,3%-ში. სახის ლორწოვანში ყველაზე ხშირი ასოციანტები იყვნენ: S.aureus + C.albicans – 19,2%, N.sicca + N.mucosa – 14,9%, C.albicans + S.epidermidis – 8,9%, S.epidermidis + S.mitidis – 7,85%-ში.

საქართველო მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესში ზედა სასუნთქი სისტემიდან იშვიათად იზოლირებული მიკრობის იდენტიფიკაცია. მაგალითად: Gemella morbillorum, Enterobacter cloacae, Listeria spp., Serracia marcescens, Morganella morganii.

## ცხრილი 2

### სახის ლორწოვანის მიეროფლორა 2000-2004 წწ. (%)

წლები	ძირითადი		დამატებითი		შემთხვევითი	
2000	S.epidermidis	41,6	S.aureus	19,2	Proteus mirabilis, Enterobacter cloace	10
2001	S.aureus, S.epidermidis	34,45	S.xylosus	19,8	H.influenzae S.serogroup G, Proteus mirabilis, S.mitidis, Lis- teria spp., K.oxytoca, C.albicans	2,3 0,8
2002	S.epidermidis, S.aureus	25,2 22,3	Klebsiella oxytoca	8,7	S.xylosus, S.Serogroup G, S.mitidis, C.albicans S.Serogroup B, S.homi- nis, S.haemolyticus, S.saprophyticus	1,9 0,9
2003	S.aureus	27,5	S.epidermidis	10,2	S.Serogroup G S.Serogroup B, E.coli S.Salivarius N.sicca, Pr. mirabilis	1,5 2,3 1,5 0,7
2004	S.aureus	51,3	–		S.epidermidis, N.sicca, N.mucosa E.coli	5,2 3,9

აღნიშნული მონაცემები გვაძლევს ზედა სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების მიერიფლორის ნათელ სურათს, 5 წლის დინამიკაში (იხ. ცხრილები 1 და 2). აღნიშნული კვლევა შესრულებულია თანამედროვე სტანდარტული მაღალხარისხოვანი ტექნოლოგიებით. იდენტიფიკაციაში გამოყენებულია 20 და მეტი მეტაბოლიტური ტესტი, რაც იდენტიფიკაციის მაღალ ხარისხს მიუთითებს და გვაძლევს სარწმუნო მონაცემებს.

## ლიტერატურა

1. ქერქელიძე გ. კლინიკური ბაქტერიოლოგია, თბილისი, ევრო, 2001.
2. Вылегжанина Т.Г. Consilium medicine, 2001, 3, 579-582.
3. Покровский В.И., Позднєа О.К. Медицинская микробиология. Москва, 1998.
4. Baquero F., Moreno F. Microbiol. Lett., 1984, 23, 117-124.

## МИКРОФЛОРА СЛИЗИСТЫХ ОБОЛОЧЕК ВЕРХНИХ ДЫХАТЕЛЬНЫХ ПУТЕЙ ПРИ РИНИТАХ И ФАРИНГИТАХ

*Э. Кикачешивили, М. Кереселидзе, М. Дзагнидзе, Ш. Харебава,  
З. Орджоникидзе, К. Апридонидзе*

Государственная медицинской академия Грузии, Тбилиси; Медицинский центр “Цито”,  
Тбилиси

### РЕЗЮМЕ

В 2000-2004 гг. изучена микрофлора носоглотки 527 пациентов. Материал, взятый из слизистой носовой полости составил 71 (13,5%), а из зева – 456 (86,5%).

Идентификация микробов проводилась с помощью системы Api, предназначеннной для каждой группы отдельно. Каждая Api система представляет стандартизированный микрометод, в состав которого входит 20 биологических или асимиляционных тестов, что дает возможность установить широкий спектр микробов.

По данным бактериологических исследований проводимых с 2000 по 2004 г., в этиологической структуре слизистой носа доминировали *S.epidermidis* – 62,5%, *H.influenzae* – 18,1%, *S.serogroup G* – 16,6%; В слизистой зева – *S.aureus* – 51,3%, *S.epidemidis* – 34,45%, *S.xylosus* – 19,8%. В виде смешанных инфекций в слизистой носа доминируют *S.serogroup G + C.albicans* – 12,5%. В слизистой зева *S.aureus + C.albicans* – 19,2%.

## MICROFLORA OF MUCOUS MEMBRANE OF UPPER RESPIRATORY TRACTS IN RHINITIS AND PHARYNGITIS

*E. Kikacheishvili, M. Kereselidze, M. Dzagnidze, Sh. Kharebava,  
Z. Ordjonikidze, K. Apridonidze*

Georgian State Medical Academy, Tbilisi; Medical Center “Cito” Ltd., Tbilisi

### SUMMARY

In 2000-2004 years total of 527 patients with rhinitis and pharyngitis were investigated. Investigations were carried out using modern standard technology of the French firm *bio Merieux*. In etiologic structure prevailed *S.epidermidis* (62.5%) *H.influenzae* (18.1%), *S.serogroup G* (16,6%). In associations were mainly revealed *S.serogroup G + C.albicans* 12,5%.

According to the data obtained the true picture of microecology of the upper respiratory tracts became evident.

## ცეიროცელი აღმაზის მოღეპულაში ვარიაბელური აღტერნატიულად საღასისირებადი ეგზონის რაოდენობ- რიზო ცვლილებები ზოზილებაში მარინტინგის პროცესზე

თ. კილურაძე, ნ. კუჭია შვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის  
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 19.07.2005

იმპრინტინგის პროცესში წიწილებში ადგილი აქვს 140 კდა ნეირონული ად-  
ჰენის მოღეპულის (ნამ-140) იზოფორმის, დასწავლისათვის სპეციფიკურად,  
რაოდენობრივ ზრდას. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ნამ-140-ში ეწ. ვარიაბელური  
ალტერნატიულად სპლაისირებადი ეგზონის რაოდენობრივი ცვლილებები იმპრინ-  
ტირებიდან 24 საათის შემდეგ. ნაჩვენები იქნა, რომ დასწავლის მაღალი დონე  
დაკავშირებულია ამ ეგზონის ექსპრესირებადი ნამ-140-ის რაოდენობის შემცი-  
რებასთან.

საკვანძო სიტყვები: იმპრინტინგი, წიწილები, ნეირონული ადჰენია, ეგზონი

წიწილებში იმპრინტინგის ფენომენი დასწავლის ისეთი პროცესია, რო-  
დესაც ახლადგამოჩეკილი წიწილა აედევნება პირველად დანახულ მოძრავ  
ობიექტს – სუროგატულ დედას და უყალიბდება უკანასკნელისადმი  
მიმაგრების თვისება [1] მხედველობითი იმპრინტინგისათვის წიწილებში  
იდენტიფიცირებულია ტვინის უბანი, რომელიც მესხისერების საცავს წარ-  
მოადგენს. ეს უბანია ვენტრალური პიპერსტრიაბუმის მედიალური და  
ინტერმედიალური ნაწილი (ვპრი), (მიმოხილვისათვის იხ. [1]). მესხისერების  
საცავი უბის იდენტიფიკაციამ შესაძლებელი გახადა დასწავლისათვის  
სპეციფიკური მთელი რიგი ბიოქიმიური ცვლილებების შესწავლა [1-8].  
ნაჩვენები იქნა, რომ ტრენირებიდან 24 საათის შემდეგ, და არა 9,5 საათის,  
შემდეგ ადგილი აქვს ნეირონული ადჰენის მოღეპულის (ნამ) სამი  
მთავარი იზოფორმის (ნამ-180, ნამ-140 და ნამ-120 კდა), მესხისერებისათვის  
სპეციფიკურად, რაოდენობრივ ზრდას [6].

ნამ-ები მონაწილეობენ უჯრედების პომო- და პეტეროფილურ ურ-  
თიერთქმედებაში [9]. მათი პომოფილური დაკავშირება განაპირობებს  
აქსონური ზრდის სტიმულაციას. განვითარების პერიოდში ადგილი აქვს

ამ სტიმულაციის გაქრობას, რაც ასოცირებულია დიფერენციული სპლაინიგით 10 ამინმჟავიანი ეგზონის (ვარიაციებული ალტერნატიულად სპლაინებადი ეგზონი - ვასმ) ჩასმაში ნამ-ის მოლეკულის იმუნოგლობულინების მსგავს IV დომენში [10]. იმპრინტინგის შემთხვევაში მონაცემები მექსიერებისათვის სპეციფიკურად ნამ-140-ის ზრდის შესახებ [6] მიღებული იქნა იმ ანგისხეულების საშუალებით, რომლებიც ამოიცნობენ როგორც ვასპ-შემცველ, ასევე ვასპ-არაშემცველი ნამ-ების მოლეკულებს. მოცემული სამუშაოს მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ვასპ-შემცველი ნამ-140 რაოდენობრივი ცვლილებები იმპრინტინგის პროცესში.

## ასალა და გეთოდება

წიწილები იჩემდოდა და დასწავლამდე ინახებოდა სიბნელეში. გამოჩეიდან 22-28 საათის შემდეგ წიწილები იწვრონებოდა 1 საათის განმავლობაში, მბრუნავ ბორბალში იმპრინტ-სტიმულის 1 საათიანი ექსპოზიციით (მბრუნავი წითელი ყუთი). მიახლოვების აქტივობას ბორბლის ბრუნვა ასახავდა. ტრენირებიდან 10 წუთის შემდეგ, თითოეული წიწილის უპირატესობის მაჩვენებელი იზომდობოდა წითელი ყუთის და ალტერნატიული სტიმულის (ლურჯი ცილინდრის) ექსპოზიციით, 5 წუთიანი ინტერვალებით (წითელი ყუთი, ლურჯი ცილინდრი, კელავ ლურჯი ცილინდრი და ბოლოს წითელი ყუთი). გამოიანგარიშებოდა უპირატესობის მაჩვენებელი, რომელიც დასწავლის სიძლიერის მაჩვენებელიყადა. უპირატესობის მაჩვენებელი არის პროცენტულად გამოსახული მიახლოვების აქტივობა წითელ ყუთზე, ჯამური მიახლოვების აქტივობიდან (როგორც წითელ ყუთზე, ასევე ლურჯ ცილინდრზე). წიწილები, რომელთა უპირატესობის ტესტის მაჩვენებელი <60% იყო, ითვლებოლონებ ცუდად დამსწავლებად (ცდ), ხოლო წიწილები >80% უპირატესობის ტესტის მაჩვენებლით – კარგად დამსწავლებად (პდ). სხვა წიწილები (60% < უპირატესობის ტესტის მაჩვენებელი < 80%) კლასიფიცირდებოდნენ, როგორც საშუალოდ დამსწავლებები (სდ). წიწილების ერთი ჯგუფი თოვეულ გამოჩეული, წარმოადგენდა არატერნიტებულ წიწილებს (არტ).

წიწილების დეკაპიტაცია წარმოებდა დასწავლიდან 24 საათის შემდეგ ადგილი პქონდა ტვინის შემდეგი უბნების ამოკეთას: მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროს ვპმინ და მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროს უკანა ნეოსტრიატუმი. ვახდებოდით სამ-სამი ნიმუშის გაერთიანებას (მაგ. კარგად დამსწავლებების მარცხენა ვპმინ), თითოეული გამოჩეულა. სულ გაანალიზებული იქნა 6 გამოჩეკის წიწილები. პოლიქლონური ანტისხეულების გამომუშავება ხდებოდა ბოკვრების იმუნზაციით ვასპ-ს შესაბამისი ამინმჟავური თანმიმდევრობის პეპტიდით.


ქსოვილოვანი ნიმუშები პომოგენიზირდებოდა, ცენტრიფუგირდებოდა 1000 g-ზე, 10 წთ-ის განმავლობაში. სუპერნატანტი ცენტრიფუგირდებოდა 15000 g-ზე 20 წთ-ის განმავლობაში. ნალექი კიდევ კრთხელ ირეცხებოდა და მიღებული ნალექი წარმოადგენდა P2 მებრანულ ფრაქციას. P2 მებრანულ ფრაქცია იხსნებოდა 5%-იან ნდს-ის სსნარში. ყველა ცდისთვის

ცნობილია, რომ საშვილოსნოს ტანის სიმსიმეების განვითარებაში წამყვან როლს სტეროიდული ჰორმონები, კერძოდ კი ესტროგენები ასრულებენ [2]. ცნობილია ისიც, რომ სტეროიდული ჰორმონები მონაწილეობენ ლიპიდური ცვლის რეგულაციაში. ამავე დროს, ლიპიდური ცვლის მდგომარეობაზე დამოკიდებულია სასქესო ჰორმონების ბიოსინთეზი.

ცონილია, აგრეთვე, ესტროგენების პიპერქოლესტერინული, პიპოქოლესტერინული და პიპერფილოსფოლიპიდური ეფექტიც [8, 12]. გარდა აღნიშნულისა, ლიპიდური სპექტრის ცვლილების შესწავლა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ქალის რეპროდუქციული სისტემის სიმსიცნეების ერთ-ერთ თანმხლებ დაავადებას სიმსუქნე (საშვილოსნოს ტანის სიმსიცნე დაავადებულთა 75,5%-ში სიმსუქნის უონზე მიმდინარეობს [11]) წარმოადგენს [3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაგოვალეთ შეგვესწავლა საშვილოსნოს ტანის სიმსიცნეებით დაავადებული და საქონტროლ ჯგუფის (პრაქტიკულად ჯანმრთელი) ქალების სისხლში ლიპიდების ზექანგური ჟანგვის აქტივობისა და ლიპიდური სპექტრის ცვლილება.

## მასალა და მეთოდები

კვლევისათვის გამოიყენებოდა საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი (მიომა) და ავთვისებიანი სიმსიცნით (ენდომეტრიუმის კიბო) დაავადებული (III სტადია) 15-15 ქალის სისხლი. საკონტროლო ჯგუფი წარმოდგენილი იყო შესაბამისი ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალებით. დაავადების კლინიკური სტადიის დადგენა ხდებოდა მორფოლოგიური და ექსკომიური მეთოდებით.

ლიპიდების ზექანგური ჟანგვის აქტივობას ვსაზღვრავდით მისი ერთ-ერთი საბოლოო პროდუქტის – მალონის დიალდეპიდის – დაგროვების მიხედვით [10], ლიპიდების გამოყოფას ვახდენდით ადრე აღწერილი მეთოდით [9], ფოსფოლიპიდების კონცენტრაციის განსაზღვრას ლიპიდების საერთო ფრაქციაში ვახდენდით შესაბამისი მეთოდით [15]. ქოლესტერინის განსაზღვრა ხდებოდა CHOD-PAP მეთოდით, ქოლესტერინის რეაგენტის სხსარის გამოყენებით, ცილას ვსაზღვრავდით ლოურის მეთოდით [16], პლაზმაში ცხიმოვნების მუკვებს ვსაზღვრავდით ადრე აღწერილი მეთოდით [17].

ექსპერიმენტულ მონაცემებს ვამჟამებდით სტატისტიკურად [13].

## უძრავები და გათო განხილვა

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ საშვილოსნოს ტანის სიმსიცნეებით დაავადებული ქალების სისხლში ადგილი აქვს ლიპიდების ზექანგური ჟანგვის ინტენსივობის მატებას დაავადების დამძიმების პარალელურად (ცხრილი 1). მიომით დაავადებული ქალების სისხლში ლიპიდების ზექანგური ჟანგვის აქტივობა, საკონტროლო ჯგუფის მონაცემთან შედარებით, გაზრდილია ~1,5-ჯერ. ამ უკანასკნელის ზრდის ტენდენცია უფრო მკვეთრადაა გამოხატული ავთვისებიანი სიმსიცნის დროს (~2,2-ჯერ).

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ იქნა საშვილოსნოს ტანის სიმსიცნეებით დაავადებული ქალების სისხლის ლიპიდური სპექტრის ცვლილება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ადგილი აქვს სისხლის ლიპიდების ცვლის რეგულაციის რდევებას. ეს უკანასკნელი გამოიხატება სისხლის ლიპიდების საერთო რაოდენობის მატებასა და ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობის კლებაში, დაავადების დამძიმების პარალელურად

(კეთილთვისებიანი → ავთვისებიანი) (ცხრილი 1). სისხლის ლიპიდების საერთო რაოდენობა, კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, გაზრდილია ~1,5-ჯერ, საკონტროლო ჯგუფის მონაცემთან შედარებით. ლიპიდების საერთო რაოდენობის მკვეთრი მატება, ~2,1-ჯერ, აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნის დროს.

### ცხრილი 1

ლიპიდების რაოდენობის და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივობის ცვლილება საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებულთა სისხლში

ლიპიდების რაოდენობა სისხლში	საკონტროლო ჯგუფი	კეთილთვისებიანი სიმსივნე	ავთვისებიანი სიმსივნე
ლიპიდების საერთო რაოდენობა, მგ/მლ	$3,3 \pm 0,05$	$4,8 \pm 0,14$	$8,7 \pm 0,22$
ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობა, მგ/მლ	$2,5 \pm 0,2$	$2,1 \pm 0,15$	$1,9 \pm 0,05$
ამინოშემცველი ფოსფოლიპიდები, %	$31 \pm 2,32$	$27 \pm 1,9$	$21,7 \pm 1,7$
ქოლანშემცველი ფოსფოლიპიდები, %	$34 \pm 1,85$	$44 \pm 2,35$	$63,2 \pm 2,9$
ქოლესტერინი, მმოლი/ლ	$1,8 \pm 0,09$	$3,5 \pm 0,15$	$6,3 \pm 0,29$
ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვა, ნმ	$6 \pm 0,13$	$10 \pm 0,32$	$13 \pm 0,41$

პაციენტთა რაოდენობა  $n = 15$ ; საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ასაკი – 40-50; საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ასაკი – 50-60.

ვვარაუდობთ, რომ სისხლის ლიპიდების საერთო რაოდენობის მატება შესაძლებელია გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, ავთვისებიანი სიმსივნის დროს ორგანიზმში განვითარებული ჰორმონული დისბალანსით, რაც ერთხელ კიდევ ასაბუთებს ჰიპერლიპიდემიის ჰორმონულ საფუძველს [5], ხოლო მეორე მხრივ – ქოლესტერინის (ცხრილი 1), ტრიგლიცირიდების [7], თავისუფალი ცხიმოვანი მეავების [3, 6] სინთეზის გაძლიერებით. ლიპიდების საერთო რაოდენობის მატება კი შეიძლება მიუთითებდეს ავთვისებიანი ზრდის დროს ლიპიდების ბიოსინთეზის გაძლიერებაზე.

ჰიპერლიპიდემიის ფონზე, საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებულთა სისხლში ადგილი აქს ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობის კლებას (ცხრილი 1). კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობა შემცირებულია ~1,1-ჯერ, საკონტროლო ჯგუფის მონაცემთან შედარებით. ავთვისებიანი სიმსივნის დროს კი – ~1,3-ჯერ. დადგენილ იქნა აგრეთვე უარყოფითი კორელაცია ( $r = -0,96 \pm 0,04$ ) ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსივობასა და ფოსფოლიპიდების რაოდენობას შორის.

ვვარაუდობთ, რომ სისხლის ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობის კლება საშიგლოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, განპირობებული უნდა იყოს, ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის მკვეთრი დაქვეითების ფონზე, ლიპიდების ზექანგური ჟანგვის პროცესების გააქტივებით და ცალკეული ფოსფოლიპიდების რაოდენობის შემცირებით. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ადგილი პქონდა ადვილად ჟანგვადი (ამინოშემცველი) ფოსფოლიპიდების პროცენტული რაოდენობის შემცირებას, ~1,5-ჯერ, და ძნელად ჟანგვადი (ქოლინშემცველი) ფოსფოლიპიდების პროცენტული რაოდენობის ზრდას, ~1,3-ჯერ (ცხრილი 1). ამგვარად, ლიპიდების ზექანგური ჟანგვის პროცესების ინტენსიფიკაცია განაპირობებს ფოსფოლიპაზების გააქტივებას [6], ფოსფოლიპიდების პილროლიზის გაძლიერებას [4], ამ უგრძნასენელთა ბიოსინთეზის დაქვეითებას (დარღვეულია ფოსფოლიპიდების შემადგენლობის განახლება ლიზოფოსფატიდებიდან და თავისუფალი (ცხიმოვანი მჟავებიდან) და ცხიმოვანი მჟავების სპექტრის ცვლილებას, რაც კარგად აისახება საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ დაავადების დამძიმების პარალელურად, ადგილი პქონდა მირისტინის, ოლეინის, ლინოლენის, ეიკოზატრიენის და არაქიდონის მჟავების რაოდენობის შემცირებას და სტერინის და ლინოლის მჟავებას რაოდენობის მატებას (ცხრილი 2).

## ცხრილი 2

ცხიმოვანი მჟავების სპექტრის ცვლილება (%) საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებულთა სისხლში

ცხიმოვანი მჟავა	საერთოროლო კბუფი	კეთილთვისებიანი სიმსივნე	ავთვისებიანი სიმსივნე
მირისტინი	$3,41 \pm 0,3$	$2,26 \pm 0,24$	$1,09 \pm 0,18$
სტეარინი	$17,78 \pm 0,83$	$18,55 \pm 1,03$	$20,17 \pm 1,44$
ოლეინი	$2,19 \pm 0,26$	$1,66 \pm 0,08$	$0,76 \pm 0,02$
ლინოლენი	$10,52 \pm 0,32$	$11,9 \pm 1,7$	$16,52 \pm 2,34$
ლინოლეუნი	$21,5 \pm 3,05$	$19,03 \pm 2,24$	$14,84 \pm 0,89$
ეიკოზატრიენი	$2,84 \pm 0,49$	$2,23 \pm 0,2$	$0,99 \pm 0,08$
არაქიდონი	$32,26 \pm 3,51$	$29,89 \pm 2,45$	$25,35 \pm 1,62$

პაციენტთა რაოდენობა  $n = 15$ ; საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ასაკი – 40-50; საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა ასაკი – 50-60.

კვლევის შემდგენ ეტაპზე შესწავლილ იქნა საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ქოლესტერინის რაოდენობრივი ცვლილება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ადგილი აქვს ქოლეს-

ტერინის რაოდენობის მკვეთრ მატებას, დაავადების დამძიმების პარალელურად (ცხრილი 1). კერძოდ, კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა შემთხვევაში, ქოლესტერინის რაოდენობა გაზრდილია ~1,9-ჯერ, საკონტროლო ჯგუფის მონაცემთან შედარებით. ამ უკანასკნელის მკვეთრი მატება აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნის დროს – ~3,4-ჯერ. დადგენილ იქნა აგრეთვე ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის დაჭვითებასა და ქოლესტერილის რაოდენობის მატებას შორის უარყოფითი კორელაცია ( $r = -0,99 \pm 0,014$ ).

ვვარაუდობთ, რომ საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლის პლაზმაში ქოლესტერინის რაოდენობის მკვეთრი მატება განპირობებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, ცხიმოვანი მუავების მეტაბოლიზმისა და ნახშირწყლების უტილიზაციის რდვევით, რაც თავის მხრივ ქმნის პირობებს ტრიგლიციდურიდების და ქოლესტერინის სინთეზის გაძლიერებისთვის, მეორეს მხრივ კი, პიპოთალამო-ჰიპოფიზური სისტემის აქტივობის ზრდით [3]. გარდა აღნიშნულისა, სისხლის პლაზმაში ქოლესტერინის რაოდენობის მატება განპირობებული უნდა იყოს, აგრეთვე, ქოლესტერინის ეთერიფიკაციის პროცესების დაქვეითებით, რადგან ცნობილია, რომ საშვილოსნოს ტანის სიმსივნეებით დაავადებულებში ქოლესტერინის ეთერიფიკაციის ქოფიციენტი ძალიან დაბალია.

ამრიგად, მიღებული მონაცემების თანახმად, საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა სისხლში ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსიფიკაციის ფონზე ადგილი აქვს ლიპიდური სპექტრის მნიშვნელოვან ცვლილებებს: პიპერლიპიდომიას, ფოსფოლიპიდების ბალანსის რდვევასა და ჰიპერქოლესტერინემიას. ყოველივე ეს კი მიუთითებს ლიპიდური ცვლის მნიშვნელოვან როლზე სიმსივნური დაავადებულების პათოგენუზში.

## ლიტერატურა

1. Басковыч Г.А., Тхоржевская З.С. и др. Гематология и трансфузиология, 1993, 3, 13-16.
2. Бершtein L.M. Гормональный канцерогенез. Москва, Наука, 2000.
3. Бурлакова Е.Б. Биохимия липидов и их роль в обмене веществ. Москва, Наука, 1981.
4. Дильтман В.М. Эндокринологическая онкология. Ленинград, Медицина, 1983.
5. Зверихановский Ф.А., Симонян М.А. и др. Вопр. мед. химии, 1987, 49-53.
6. Кантемирова З.Р., Торчинов А.М., Жигулева Т.А. Лечящий Врач, 2003, 10, 17-21.
7. Карагезян К.Г., Геворкян Д.М. Вопр. мед. химии, 1989, 5, 27-30.
8. Котрикадзе Н.Г. Автореф. докт. диссерт., 1988.
9. Нугманов С.Н., Жубанова А.А. и др. Вопр. онкол., 1975, 17, 25-29.
10. Патрикеева М.В. Авт. канд. дисс. АГУ, 1965.
11. Панченко Л.Ф., Герасимов Л.М. и др. Вопр. мед. химии, 1988, 20, 321-325.
12. Сафина Н.С., Урманчеева А.Ф. и др. Вопр. онкол., 2000, 46, 54-57.
13. Сергеев П.В. Стероидные гормоны. Москва, 1984
14. Удольская Н.Д. Введение в биометрию. Алма-Ата, Наука, 1976.
15. Францианц Е.М., Орловская А.А. и др. Вопр. онкол., 1999, 45, 607-611.
16. Царцидзе М.А., Гордезiani M.B. Бюлл. № 31, 23.08.1987.
17. Lowry O.H., Rosebrauch N.M. et. al. J. Biol. Chem., 1951, 193, 265-275.
18. Zlatkis A. Advances in Chromatography. 1987, 713-720.

## ИССЛЕДОВАНИЕ ЛИПИДОВ И АКТИВНОСТИ ПЕРЕКИСНОГО ОКИСЛЕНИЯ ЛИПИДОВ В КРОВИ ЖЕНЩИН, БОЛЬНЫХ ОПУХОЛЯМИ ТЕЛА МАТКИ

*Т. Туфинашвили, Ц. Хараишвили, Г. Чкуасели, Т. Рехвиашвили,  
С. Учанеишвили, Н. Котригадзе*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Изучены липидный спектр и изменения перекисного окисления липидов в крови женщин, больных опухолями тела матки. Исследованиями показано, что параллельно с утяжелением болезни, на фоне понижения активности антиоксидантной системы (понижение активности супероксид-дисмутазы и каталазы) и повышения интенсивности перекисного окисления липидов, наблюдаются значительные изменения липидного спектра: гиперлипидемия, нарушение баланса фосфолипидов и гиперхолестеринемия. Все это указывает на существенную роль липидного обмена в патогенезе опухолевых заболеваний.

## INVESTIGATION OF THE BLOOD LIPIDS AND LIPID PEROXIDATION IN THE TUMORS OF THE UTERUS CORPUS

*T. Tufinashvili, Ts. Kharaishvili, G. Chkuaseli, T. Rekhviashvili,  
S. Uchaneishvili, N. Kotrikadze*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

Alterations of the lipid spectrum and lipid peroxidation in the blood of the women with tumors of the uterus corpus were studied. Investigations have shown that along with aggravation of a disease, on the background of depression of activity of the antioxidant system (decrease of the superoxide-dismutase- and catalase activity) and elevation of the lipids peroxidation, significant alterations in the phospholipids spectrum did occur, such as hyperlipidemia, breach in the phospholipids balance, and hypercholesterolemia. All these findings point significant role of the lipids metabolism in pathogenesis of the tumorous diseases.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, გ. 31, № 5.

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 5.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 5.

## სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებული ეალების სისხლის ერითროციტებში ზერმანი $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჰ-აზას აქტივობისა და $\text{Na}^+$ და $\text{K}^+$ იონების

### გაცვლადობის უესტავლა

**ს. უჩანევიშვილი, თ. თევდორაძე, თ. ტუფინაშვილი, გ. ნემსაძე,  
გ. გაბუნია, ნ. კოტრიკაძე**

ო. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 8.07.2005

შესწავლილ იქნა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლის ერითროციტების მემბრანების სატრანსპორტო ფუნქცია,  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზას აქტივობისა და  $\text{Na}^+$  და  $\text{K}^+$  იონების განვლადობის ცელილების მაგალითზე. დადგენილ იქნა რომ სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებისას, ერითროციტებში ადგილი აქვს ფერმენტ  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზას აქტივობის დაქვეითებას, არეში  $\text{Na}^+$ -ის იონების კონცენტრაციის შემცირებას და  $\text{K}^+$ -ის იონების კონცენტრაციის ზრდას. მხედველობაში მისაღებია, რომ  $\text{Na}^+$ -ის იონების ტრანსპორტი პირდაპირობორიულ დამოკიდებულებაშია არეში  $\text{Na}^+$ -ის იონების კონცენტრაციასთან; რაც შეეხება  $\text{K}^+$ -ის იონების ტრანსპორტს, ეს უკანასკნელი უკუკროპორციულ დამოკიდებულებაშია არეში  $\text{K}^+$ -ის იონების კონცენტრაციასთან.

**საკვანძო სიტყვები:** სარძევე ჯირკვლის სიმსივნე, სისხლის ერითროციტები, აქტიური ტრანსპორტი,  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ , განვლადობა

ბოლო წლებში ერითროციტის ძირითად ფუნქციებთან ერთად (მონაწილეობა აირების ტრანსპორტში, თრომბოწარმოქმნა და ჰემორეოლოგიის პროცესები [8]), დიდი უურადღება ექცევა ერითროციტის უნარს, მოახდინოს სხვადასხვა ნივთიერების (წამლების, ნეირომედიატორებისა და ჰორმონების) ადსორბცია და ტრანსპორტირება [10], აგრეთვე, მათი დეპონირება და მეტაბოლიზმი [12]; ერითროციტები განიხილება, აგრეთვე, როგორც იმუნოკომპეტენტური უჯრედები [1]. ერითროციტები საინტერესოა, როგორც მოდელური უჯრედები, რადგან ნეოპლასტიკური პროცესის თანმდევი ცელილებების ძირითადი რგოლები, სხვადასხვა ქსოვილისა და უჯრედის დონეზე, საერთოა [8]. უნდა აღინიშნოს, რომ ერითროციტები

ხელმისაწვდომ და კვლევისათვის უადრესად საინტერესო ობიექტს წარმოადგენენ.

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ორგანიზმში სიმსივნეზი პროცესს თან ახლავს გარეკეული ცვლილებები ერთორციტის მემბრანაში: ინდვეგვა მემბრანული რეგულაცია [8], იცვლება მემბრანის სტრუქტურული მდგომარეობა, კერძოდ, ლიპიდური სპექტრი და ქოლესტერინის რაოდენობა [3], ადგილი აქს ლიპიდების ზეჟანგური ქანგვის ინტენსივობის ზრდას [7], იცვლება მემბრანული ცილების სპექტრიც [2].

აღნიშნულ ეტაპზე, საინტერესო იყო გამოგვეკვლია, როგორ აისახებოდა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების განვითარების ფონზე გამოვლენილი ერთორციტის მემბრანაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები მის ფუნქციურ მდგომარეობაზე. კერძოდ, გადავწყვეტეთ შეგვესწავლა პრაქტიკულად ჯანმრთელი, სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული ქალების ერთორციტების მემბრანის სატრანსპორტო ფუნქციის ცვლილება,  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჰ-აზის აქტივობის ცვლილებისა და  $\text{Na}^+$  და  $\text{K}^+$  იონების განვლადობის მაგალითზე.

## მასალა და გეთოდება

გამოკვლევისათვის გამოიყენებოდა სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული 15-15 პაციენტისა და იგივე რაოდენობის პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალის (საკონტროლ ჯგუფი) სისხლის ერთორციტები. გამოკვლევები უტარდებოდა ავადმყოფებს (საშუალო ასაკი 45-60 წ.) სიმსივნის პირველადი გამოვლინებისას. საკონტროლო ჯგუფში წარმოდგენილი იყო შესაბამისი ასაკის დონორთა სისხლის ერთორციტები. დაავადების კლინიკური სტადია დგინდებოდა ციტოლოგიური, ჰისტომირულოგიური და ექიმისმოგრაფიული გამოკვლევით.

ერთორციტების მემბრანის გამოყოფა ხდებოდა პასტის მეთოდით [19], ცილის განსაზღვრას განხდენით ლოურის მეთოდით [20],  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობას განსაზღვრის მიზნით, ვზომავდით ატჲ-ს ჰიდროლიზის შედეგად გამოყოფილი არაორგანული ფოსფორის რაოდენობას [13];  $\text{Na}^+$ - და  $\text{K}^+$ -იონების ტრანსმებრანული გადატანის შესასწავლად ვიყენებოთ  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -იონების კონცენტრაციის განსაზღვრის იონიმეტრიულ მეთოდს [13], ქოლესტერინის კონცენტრაციის ვსაზღვრავდით ზღაბიზ-ზაკის მეთოდით [16], ლიპიდების საერთო ფრაქციაში ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობას, ამინოშემცველი და ქოლინშემცველი ლიპიდების თანაფარდობას ვსაზღვრავდით ცარციძის მეთოდით [17]. ექსპერიმენტულ მონაცემებს გამუშავებდით ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით.

## შედეგები და გათი განხილვა

გამოკვლევებმა გაიჩვენა, რომ დაავადების დამძიმების პარალელურად (კეთილთვისებიანი → ათვისებიანი), ადგილი ჰქონდა ფერმენტ  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობის დაქვეითებას. სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმ-

სიენით დაავადებული ქალების სისხლის ერითროციტის მემბრანაში ადგილი პერნდა (ცხრილი 1)  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჰ-აზის აქტივობის დაქვეითებას 1,12-ჯერ, პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალების სისხლის ერითროციტების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, მაშინ, როდესაც სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში,  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობა მკეთრად მცირდებოდა როგორც საკონტროლო ჯგუფის (1,8-ჯერ), ასევე კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევებთან (1,6-ჯერ) შედარებით (ცხრილი 1).

### ცხრილი 1

სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებული ქალების ერითროციტებში  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობის,  $\text{Na}^+, \text{K}^+$  იონთა განედადობის ცვლილების დამოკიდებულება ქოლესტერინისა და ფოსფოლიმიდების რაოდენობის ცვლილებაზე ( $p<0,04$ )

მაჩვენებლები	ჯგუფები		
	პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალები	ქეთილთვისებიანი სიმსივნე	ავთვისებიანი სიმსივნე
$\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობა, მეტოდური მგ ცილაზე	$0,92 \pm 0,01$	$0,82 \pm 0,023$	$0,51 \pm 0,011$
1/pNa	$0,641 \pm 0,04$	$0,591 \pm 0,01$	$0,512 \pm 0,03$
1/pK	$0,4 \pm 0,001$	$0,452 \pm 0,002$	$0,476 \pm 0,006$
ქოლესტერინი, ფარდ. ერთ	1	1,7	2,4
ფოსფოლიმიდი, მგ/მგ ლიანდზე	$0,51 \pm 0,007$	$0,44 \pm 0,01$	$0,38 \pm 0,009$
ამინოშემცველი ფოს-ფოლიმიდები, ფარდ. ერთ.	1	0,88	1,56
ქოლინშემცველი ფოს-ფოლიმიდები, ფარდ.ერთ.	1	1,15	1,8

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზა “სიბლანტედამოკიდებულ” ფერმენტს წარმოადგენს [14, 15] და, შესაბამისად, ფერმენტის სრულყოფილი ფუნქციონიბისათვის აუცილებელია სათანადო მიქროგარემოს არსებობა. ცნობილია ისიც, რომ მემბრანის კონსისტენციის რეგულატორს, უპირველესად ქოლესტერინი წარმოადგენს [4]. ქოლესტერინი ფერმენტის აქტივობის მოდიფიკაციას ლიანდური ბიშრის მიკროსბლანგის ცვლილების გზით ახორციელებს, ისევე, როგორც პლაზმური მემბრანის სტრუქტურული კომპონენტი, უშეაღლოდ მონაწილეობს ფერმენტის აქტივობის რეგულაციაში [14].

აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო გვენახა, როგორ იცვლებოდა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებით დაავადებულთა ერითროციტების მემბრანაში ქოლესტერინის რაოდენობა.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსიცნით დაავადებულთა სისხლის ერთორციტების მემბრანაში ქოლებულების რაოდენობა იზრდებოდა 1,7-ჯერ (ცხრილი 1), საკონტროლო ჯგუფის შესაბამის მონაცემებთან შედარებით, ხოლო, ავთვისებიანი სიმსიცნის შემთხვევაში, ქოლესტერინის შემცველობა ერთორციტების მემბრანაში მკვეთრად იზრდებოდა (2,4-ჯერ).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქოლესტერინის რაოდენობის ზრდა იწვევს მემბრანის მიკროსიბლანგების ზრდას, რაც ცხიმოვან შეავებს შორის პიღროფობური მოლეკულების ჩართვითა და ცხიმოვანი შეავების ძვრადობის შეზღუდვით ისხსნება [11, 14]. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ქოლესტერინი, მემბრანაში ჩართვისას, წარმოქმნის წყალბადურ ბმებს როული ეთერული ბმების კარბონილურ ჯგუფებსა და თავისივე OH-ჯგუფს შორის [14, 15]. შედეგად, გამოდევნის რა წელს მემბრანის ზედაპირული შრიდან, იწვევს მემბრანაში ფოსფოლიპიდის მოლეკულის ფართის შემცირებას და, შესაბამისად, მიკროსიბლანგების ზრდას [14]. აქვდან გამომდინარე, დაავადების დამძიმების პარალელურად (კეთილთვისებიანი → ავთვისებიანი), მემბრანაში ქოლესტერინის გასრდილი რაოდენობა, შესაძლოა, ზრდის მემბრანის მიკროსიბლანგების ორივე აღნიშნული მიზეზით და, შესაბამისად, განაპირობებს ფერმენტის აქტივობის დაჭვეოთებას.

ამგვარად, ჩვენი მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჰ-აზია კლასიები “სიბლანგედამოკიდებულ” ფერმენტს წარმოადგენს. ვვარაუდობთ, რომ ქოლესტერინის ჩართვისას,  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზის მიკრორეუფორმის ხისტი ხდება. შესაბამისად, აღნიშნული ფერმენტის კონფორმაციული ცვილილებებიც გაძნელებულია. კონფორმაციული ცვლილებების შეზღუდვა კი უშეალოდ განაპირობებს ფერმენტის აქტივობის დაჭვეოთებას.

აუკილებელია აღინიშნოს, რომ  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზის ფუნქციობა დამოკიდებულია არა მარტო ქოლესტერინის შემცველობაზე, არამედ ქოლესტერინი/ფოსფოლიპიდის თანაფარდობის ზრდის ხარისხზეც [14, 15]. აქვდან გამომდინარე, კვლევის შემდეგ ეტაპზე შესწავლილ იქნა სისხლის ერთორციტის მემბრანაში ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობა.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ერთორციტის მემბრანაში ფოსფოლიპიდების საერთო რაოდენობა მცირდებოდა, კეთილთვისებიანი სიმსიცნის შემთხვევაში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, 12%-ით, მაშინ, როდესაც ავთვისებიანი სიმსიცნის შემთხვევაში შემცირებამ შეადგინა 17% (ცხრილი 1). ამგვარად, დაავადების დამძიმების პარალელურად, ერთორციტის მემბრანაში გაზრდილი ქოლესტერინისა და შემცირებული ფოსფოლიპიდების რაოდენობა, კიდევ ერთხელ მიუთითებს ქოლესტერინ/ფოსფოლიპიდის თანაფარდობისა და ერთორციტის მემბრანის მიკროსიბლანგების ზრდაზე, რაც, თავის მხივ, უნდა განაპირობებდეს  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობის დაჭვეოთებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენი მონაცემების თანახმად, დაავადების დამძიმების პარალელურად, აღინიშნება უანგვითი რეზისტების მიხედვით განსხვავებული ფოსფოლიპიდური ფრაქციების თანაფარდობის ცვლილებაც. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ დაავადების დამძიმების პარა-

დაცურად, ერთოროციტის მემბრანაში ადგილი ჰქონდა ქოლინემცველი (ძელადეანგვადი) ფოსფლიპიდების წილის მატებასა და ამინოშემცველი (ადვილადეანგვადი) ფოსფოლიპიდების წილის შემცირებას (ცხრილი 1). ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქოლესტერინს ახასიათებს გაზრდილი სწრაფვა ქოლინემცველი ფოსფოლიპიდებისადმი (ფოსფატიდილსერინი, ფოსფატიდილეთანოლამინი) [1, 11]. აღნიშნული სწრაფვა განაპირობებს ქოლინემცველი ფოსფოლიპიდების ადგილად დაკავშირებას, ფერმენტ  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -ატჰ-აზის აქტიურ ცნობები ზემოქმედების ხარისხის ზრდასა და, შესაბამისად, ფერმენტის აქტივობის დაქვეითებას, რასაც ჩვენი მონაცემებიც ადასტურებენ.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობის შემცირება განპირობებული უნდა იყოს ენერგიისაგან დაცლილი ერთოროციტების (აკანტოციტების) რაოდენობის მკეთრი ზრდითა (საკონტროლო ჯგუფში არ აღნიშნება, მკეთრად იზრდება სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში (15%), და პათოლოგიური ერთოროციტების განენიო. ცნობილია, რომ ერთოროციტში ატჲ-ის ერთ-ერთ ძირითად მომხმარებელს სწორედ  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზა წარმოადგენს [1]. ენერგიისაგან დაცლილი უჯრედების წილის მატება, უჯრედებში ატჲ-ის რაოდენობის შემცირება, კიდევ ერთხელ მიუთითებს ფერმენტის აქტივობის შემცირებაზე.

ამგვარად, ჩვენმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებისას ადგილი აქვს  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობის დაქვეითებას, რაც მემბრანის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების ცვლილებით უნდა იყოს განპირობებული.

კვლევის შემდგომ ეტაპზე, შეკვეთით დაავადების დამძიმების პარალელურად, ფერმენტის აქტივობის დაქვეითების ფონზე, როგორ იცვლა ბოდა არეში  $\text{Na}^+$  და  $\text{K}^+$  იონების კონცენტრაცია, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემდა გვესაუბრა აღნიშნული იონების განვლადობაზე და პათოლოგიის დამძიმების დინამიკაზე.

ცნობილია, რომ უჯრედგარე არეში  $\text{Na}^+$ -ის იონების კონცენტრაცია პირდაპირპორციულ დამოკიდებულებაშია აქტიური სატრანსპორტო სისტემით მის გადატანასთან, ხოლო  $\text{K}^+$ -ის იონების შემთხვევაში აღნიშნული დამოკიდებულება უკუპროპორციულ ხასიათს ატარებს [7].

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ფერმენტის აქტივობის უმნიშვნელო დაქვეითების ფონზე, ასევე უმნიშვნელო შემცირდა არეში  $\text{Na}^+$ -ის იონების კონცენტრაცია, ხოლო სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ფერმენტის აქტივობის მკეთრი შემცირება იწვევდა უჯრედგარე არეში  $\text{Na}^+$ -ის იონების კონცენტრაციის ასევე მკეთრ შემცირებას (ცხრილი 1). აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ დაავადების დამძიმების პარალელურად (კეთილთვისებიანი → ავთვისებიანი) ფერმენტ  $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ატჲ-აზის აქტივობის დაქვეითება პირდაპირ კავშირშია არეში  $\text{Na}^+$ -ის იონების კონცენტრაციის შემცირებასთან და, შესაბამისად,  $\text{Na}^+$ -ის იონების გადატანის

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ  $\text{Na}^+$  და  $\text{K}^+$  ოთხები წარმოადგენენ არა მარტო აქტიური ტრანსპორტის სუბსტრატებს, არამედ  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -ატჰ-აზის რეალუატორების როლაციაც ასრულებენ [13].

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ პათოლოგიის დამძიმების პარალელურად, აღნიშნული რეგულატორული ფუნქციაც ირდევება. როგორც შევვე აღ- ვნიშნეთ, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების შემთხვევაში, არეში  $K^+$  იონუ- ბის გაზრდილი კონცენტრაცია არ არის დაპარშირებული  $Na^+$ ,  $K^+$ -ატჰე- აზის აქტივობის ცვლილებასთან. ცნობილია, რომ  $K^+$  იონების კონცენ- ტრაციის მატება უნდა თრგუნავდეს ოუაბაინის მაინიბირებელ ზემოქ- მედგას და, შესაბამისად, იწვევდეს ფერმენტის აქტივობის ზრდას [13], რაც ჩვენს შემთხვევაში არ მომხდარა. ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული მექანიზმი ორივე პათოლოგიის შემთხვევაში არ მუშაობს, რადგან ფერ- მენტის შეცვლილი მიეროგარემო (დენადობისა და სიბლანტის ცვლილება) ხელს უშლის ფერმენტის მუშაობისათვის აუცილებელ კონფორმაციულ კალიბრებს და, შესაბამისად,  $Na^+, K^+$ -ატჲ-აზის რეაქტივაციას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაავადების დამძიმების პარალელურად,  $\text{Na}^+$  და  $\text{K}^+$  -ის ონების კონცენტრაციის ზრდისა და კლების თავისებურება, შესაძლებელია, ნაწილობრივ განაირობებული იქმო ერთოოციტის მებრანაში კონცენტრაციული და ელექტრული გრადიენტის არსებობითაც [5]. ცნობილია, რომ კონცენტრაციული გრადიენტი განპირობებს  $\text{Na}^+$  ონების უჯრდში გადაადგილებას, ხოლო  $\text{K}^+$  -ის ონები კი, იგივე პირობებში, უჯრედიდან გარეთ არიან მიმართული. რაც შეეხება ელექტრულ პოტენციალს, იგი ორივე შემთხვევაში უჯრედგარე არისაკენ არის მიმართული [5]. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ მოსაზრებას, მაშინ, სარძევე ჯირკვლის ეფთოდთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, აქტიური სატრანსპორტო სისტემის დათოგუნვამ შიძლება ვერ შეძლო უჯრედგარე არეში  $\text{Na}^+$ -ის ონების მნიშვნელოვნი შემცირება, რადგან გარეულწილად ელექტრული პოტენციალი მაინც მუშაობს, რაც ემთხვევა აქტიური სატრანსპორტო სისტემის მიმართულებას. რაც შეეხება  $\text{K}^+$ -ის ონების რაოდგნობას, მისი კონცენტრაციის ზრდა არეში, კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, შესაძლოა განაირობებულია რამთ-

დენიმე გექანიზმით – შემცირებულია  $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატფ-აზის აქტივობა, კ.ი. ფერ-მენტს ვერ შემოაქვს  $\text{K}^+$ -ის იონები საჰიტო რაოდენობით, რაც არეში  $\text{K}^+$ -ის იონების დაგროვებას განაპირობებს. გარდა ამისა შესაძლებელია, რომ  $\text{K}^+$ -ის იონების გადატანას ადგილი აქვს, როგორც კონცენტრაციული გრადიენტის მიმართულებით, ასევე ელექტრული გრადიენტის თანაბიძისას. ორივე გრადიენტის მიმართულება კი,  $\text{K}^+$ -ის იონების შემთხვევაში, ემ-თხვევა ელექტროქიმიური გრადიენტის მიმართულებას, რაც აქტიური სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების შესუსტებასთან ერთად, კომპლექსში, უნდა განაპირობდეს არეში  $\text{K}^+$ -ის იონების დაგროვებას.

სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის დროს, შესაძლებელია ქოლესტერინის მკვეთრად გაზრდილი რაოდენობა განაპირობებს არა მარტო აქტიური ტრანსპორტის დაკვეითებას ( $\text{Na}^+, \text{K}^+$ -ატფ-აზის აქტივობის შემცირებას), არამედ  $\text{Na}^+$  და  $\text{K}^+$ -ის იონური არხების არხების ხანგრძლივობის შემცირებას [4, 14], დაიოლური მომენტის ცვლილებას (ქოლესტერინის ჩართვით იზღუდება დადგებითად დამჟღებული იონების გადატანა) [14]. მემბრანის განვლადობის დაკვეითებას (მემბრანის ზედაპირიდან წყლის მოცილების შედეგად მცირდება განვლადობა წყლისადმი და წყალში ხსნადი იონებისადმი), რაც, თავის მხრივ, უარყოფითად უნდა მოქმედდეს ერთიან სატრანსპორტო სისტემაზე.

ამგვარად სიმსივნის სისტემური მოქმედება ორგანიზმზე, სხვადასხვა დარღვევებთან ერთად, მოიცავს ერთოროციტების მემბრანის სტრუქტურულ ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებები უშუალოდ მოქმედებენ უჯრედის მემბრანის ფუნქციურ მდგომარეობაზე, რაც საფუძველს გაძლიერს ვისუბროთ, თუ როგორ აისახება პათოლოგიური მდგომარეობა საკუთრივ უჯრედზე, როგორც სიცოცხლის უმარტივეს ერთეულზე, და ამასთანავე, ერთოროციტების ფუნქციური დირებულებებიდან გამომდინარე, ორგანიზმის საერთო პომეოსტაზზე.

## ლიტერატურა

1. აღმიტება შეიძლით მ. ბიოლ. მეცნ. ქანდ. დის., თბილისი, 2003.
2. აღმიტება შეიძლით მ. ცხომელიძე მ., ლომესაძე მ., მანაგაძე ლ., ჩივოვიძე თ., ქოტიშვილი გ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბოილ. სერ., 2002, 28, 445-451.
3. აღმიტება შეიძლით მ. ქიბიაშვილი ი., ლომესაძე მ., მანაგაძე ლ., ჩივოვიძე თ., ქოტიშვილი გ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბოილ. სერ., 2002, 28, 437-443.
4. კობახიძე გ. მეცნ. ქანდ. დის., თბილისი, 1999.
5. Аксенцев С.Л., Гурло Т.Г., Монгин А.А., и др. Биологические мембранны, 1993, 10, 145-152.
6. Болдырев А., Козлова И.О., Смирнова И.Н., Швец В.И. Биохимия, 1977, 42, 1466-1470.
7. Бурлакова Е.Б., Джасалиева М.И. и др. В кн.: Биоантокислители и регуляция метаболизма в норме и патологии. Москва, Наука, 1982.
8. Гунина Л.М. Онкология, 2002, 4, 293-298.
9. Доманский В.Ю. Вопр. онкологии, 1992, 38, 1194-1202.
10. Карабанов Г.Н., Огий И.И., Решетова Л.А. Вопр. онкологии, 1998, 44, 672-675.
11. Котрикадзе Н.Г. Дисс. докт. наук., Тбилиси, 1988.
12. Лисовская И.Л., Шурхина Е.С., Атагулаханов Ф.И. и др. Гематол. трансфузiol., 1999, 44, 20-24.

13. Лишко В., Малышева М., Грекизирская Т. Биохимия, 1974, 39, 60-66.
14. Попухин Ю.М., Арчаков А.И., Владимиров Ю.А., Коган Э.М. Холестериноз. Москва, 1983.
15. Новицкий В.В., Степанова Е.А., Баженова Болдырев А.А., Козлова И.О., Смирнова И.Н., Швец В.И. Биохимия, 1977, 42, 1466-1470.
16. Рыбин В.И. В кн.: Биохимические методы исследования в клинике. Москва, Мир, 1980.
17. Царцидзе М.А., Гордезиани М.В. Способ определения концентрации фосфолипидов. Бюлл № 31, 23.08.87
18. Brocherhoff K. "Model of interaction of polar lipids, cholesterol and proteins in biological membranes". Lipids, 1974, 645-650.
19. Hast I., Olivia I. J. Molecular and Cellular Biochemistry, 1989, 23, 87-93.
20. Lowry O.H., Rosebrauch N.M., Parr A.L., Pandall R.I. Biochem., 1951, 193, 265-275.

## ИССЛЕДОВАНИЕ АКТИВНОСТИ $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -АТФАЗЫ И ПРОНИЦАЕМОСТИ ИОНОВ $\text{Na}^+$ И $\text{K}^+$ У ЖЕНЩИН, БОЛЬНЫХ ОПУХОЛЯМИ МЛЕЧНЫХ ЖЕЛЕЗ

*С. Учанеишвили, Т. Тевдорадзе, Т. Туфинашвили, Г. Немсадзе, Г. Габуния,  
Н. Котригадзе*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Исследована транспортная функция эритроцитов крови женщин, больных опухолями млечных желез, на примере активности  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -АТФазы и проницаемости ионов  $\text{Na}^+$  и  $\text{K}^+$ . Установлено, что во время опухолевых заболеваний, активность  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -АТФазы снижается. Снижается, также концентрация ионов  $\text{Na}^+$  в окружающей среде, а концентрация ионов  $\text{K}^+$  – повышается. Проницаемость мембранны для этих ионов прямо пропорциональна внеклеточной концентрации ионов  $\text{Na}^+$  и обратно пропорциональна концентрации ионов  $\text{K}^+$ .

## INVESTIGATION OF $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ -ATPase ACTIVITY AND PERMEABILITY OF $\text{Na}^+$ AND $\text{K}^+$ IONS IN THE BLOOD ERYTHROCYTES OF THE WOMEN WITH TUMORS OF THE MAMMARY GLANDS

*S. Uchaneishvili, T. Tevdoradze, T. Tufinashvili, G. Nemsadze, G. Gabunia,  
N. Kotrikadze*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

The transport function of the erythrocyte membrane in the women with tumors of the mammary glands was studied on the example of  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -ATPase activity and alterations of the permeability of the  $\text{Na}^+$  and  $\text{K}^+$  ions. It was found that in the cases of the mammary glands' tumors activity of the  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ -ATPase is decreasing, volume of extracellular  $\text{Na}^+$  decreases, while  $\text{K}^+$  concentration increases. Respective ions' transport is directly correlated with extracellular  $\text{Na}^+$  concentration and inversely correlated with extracellular  $\text{K}^+$  concentration.

საქ. მცხ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, გ. 31, № 5.  
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2005, т. 31, № 5.  
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 5.

ISSN-0321-1665

## პემოსტაზის მაჩვენებლების ცვლილება დაბალიცენური ლაზერორიტერაპიისა და ჰიპერბარული რესიგნაციის მოქმედებით ბაქტერიული ედომარდიტის ღროს

ა. ქანთარია, მ. მეგრულაძე, ნ. ლაპიაშვილი, მ. კანაშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 12.07.2005

ბაქტერიული ენდოკარდიტით დაავადებულებში შევისწავლეთ ჰემოკოაგულაციური ჰემოსტაზი როგორც ბაზისური თერაპიის შემთხვევაში (30 პაციენტი), ასევე მეცნიერებლის კურსში ინტრავენური ლაზერორიტერაპიისა და ჰიპერბარული ოქსიგენაციის ჩართვისას (52 პაციენტი). ჰემოსტაზის მდგრმარეობას ვაფასებდით 9 მაჩვენებლით. კლინიკაში შემოსვლისას ყველა პაციენტს ჰქონდა გამოხატული ჰიპერეკოაგულაცია. საკონტროლო ჯგუფში, თუმცა ყველას უტარდებოდა ჰეპარინორიტაპია, კლინიკიდან გაწერისას მარიც რჩებოდა კოაგულაციის მაღალი მაჩვენებელი. ძირითად ჯგუფში მეცნიერებლის შედეგად ხდებოდა ყველა მაჩვენებლის ნორმალიზება.

საკვანძო სიტყვები: ბაქტერიული ენდოკარდიტი, ლაზერორიტერაპია, ჰიპერბარული ოქსიგენაცია, ჰემოსტაზი

ბაქტერიული ენდოკარდიტის დროს დაავადების განვითარებასა და მის გამოსავალში ერთ-ერთი წამყვანია ჰემოსტაზის სისტემის ფუნქციონაბა [8, 14], ხოლო დაავადების დროს თრომბოკემბოლიური და თრომბოპემორაგიული გამოვლინებების სიხშირე მიუთითებს ამ სისტემაში არსებულ დრმა დარღვევებზე. ყველაზე ხშირად სწორედ ამ სისტემის ფუნქციის დარღვევა ხდება ლეტალური გამოსავლის მიზეზი [7, 10].

ამ დაავადების თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ მხოლოდ ანტიბიოტიკორიტერაპია შეუძლებელს ხდის მეცნიერებლის უფექტურობას, რადგან ვაგეტაციის კურაში, სადაც უპირატესდა თაქმოყრილი მიკრობები, ანტიბიოტიკის შეღწევას ხელს უშლის ფიბრინის მჭიდრო ბარიერი [2, 3, 6].

მიუხედავად მეცნიერებლის მრავალგვარი სქემისა, მისი თერაპია კვლავ პრობლემურია [8].

ჩვენ მეცნიერებლის სქემაში ჩავრთეთ დაბალიცენტრუნიური ლაზერორიტერაპიისა და ჰიპერბარული ოქსიგენაციის მეთოდები, რადგან ეს ორივე მეთოდი საქმაოდ ეფექტურია ისეთი პათოლოგიების დროს, სადაც

წამყვანია პემოსტაზის სისტემის დარღვევები; ამ მეთოდებს თითქმის არა აქვთ უცურენებები და გვერდითი მოვლენები [1, 5, 9, 13].

## აასალა და გეთოდება

გამოკვლეულია ორივე სქესის 82 ავადმყოფი ბაქტერიული ენდოპარ-ლიტის სხსეადასვა ფორმით. პაციენტთა საშუალო ასაგმა შევადგინა 37,8 წელი. პაციენტები დაყოფილ იყვნენ 2 ჯგუფად: I – საკონტროლო ჯგუფში შევიდა 30 პაციენტი, რომლებიც გადიოდნენ კლინიკაში მიღებულ კომპლექსურ კონსერვატიულ თერაპიას, II – ძირითად ჯგუფში შევიდა 52 პაციენტი, რომელთაც მკურნალობის კომპლექსში ჩაერთოთ ინტრავენური ლაზეროთერაპიისა და პიპერბარული ოქსიგენაციის კურსი.

ორივე ჯგუფში მოხვდნენ პაციენტები პირველადი და მეორადი ენდო-კარდიტით; უქანასექნელის შემთხვევაში პრემორბიდულ ფონს შეადგენდა თანდაყოლილი გულის მანკი, გულის პროთეზირებული სარქველი, რევმა-ტიზმი, ან ინტრავენური ნარკომანია.

ინტრავენური ლაზეროთერაპია ტარდებოდა He-Ne ლაზერით, ტალღის სიგრძე – 632 ნმ; გამოსხივების სიმძლავრე – 1,3 მგტ; სეანსის ხან-გრძლივობა, პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეადგენდა 15-30 წუთს; სეანსების რაოდენობა 5-7. პიპერბარული ოქსიგენაცია ტარდებოდა ერთადგილიან სამკურნალო კამერაში. სეანსის ხანგრძლივობა შეადგენდა, პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, 40-60 წუთს, უანგბადი მიუწოდებოდა წნევით 1,3-1,5 აგტ; სეანსების რაოდენობა შეადგენდა 5-8-ს. მკურნალების ეფექტურობის შეფასება ხდებოდა პაციენტის კლინიკური მდგომარეობისა და მისი კოგულაციური პემოსტაზის განსაზღვრით, შემდეგი მაჩვენებლებით: თრომბოციტების რაოდენობა სისხლის პლაზმაში, პროთორომბინის ტესტი, თრომბინის დრო, კოალინ-კეფალინის დრო, ეთ-ნოლის და პროტამინსულფატის ტესტები, ანტითრომბინ III, ფიბრინო-ლიზური აქტივობა და ფიბრონოგენის რაოდენობა.

დაავადების მიმდინარეობის მიხედვით, პაციენტები დაიყო შემდეგ-ნაირად: საკონტროლო ჯგუფში, მწვავე მიმდინარეობით – 15 (50%), ძირითად ჯგუფში – 26 (50%), ქვემწვავე – 8 (27,7%) და 13 (25%), გა-ხანგრძლივებულ-მორეციდივე – 7 (23,3%) და 13 (25%), შესაბამისად. კლი-ნიკაში შემოსვლისას პაციენტთა უმრავლესობას ჰქონდა გამოხატებული ჰი-პერკოაგულაცია, ან მიღრეკილება პიპერკოაგულაციისადმი. მკურნალების კომპლექსში ყველა პაციენტს ენიშნებოდა ჰეპარინი.

## უკავებები და გათი განხილვა

ჩვენს მიერ შესწავლილი ტესტების საწყისი მაჩვენებლები ნაჩვენებია ცხრილ 1-ში. როგორც ვხედავთ, მკურნალების დაწყებამდე ნორმის ფარგლებში მხოლოდ პროთორომბინის ინდექსია, ხოლო ნორმის ქვედა ზღვარს უახლოვდებოდა კოალინ-კეფალინის დრო. დანარჩენი მაჩვენებ-ლებით გამოხატეული იყო კოაგულაციის III და IV ფაზის გადახრა

პიპერკოაგულაციისაკენ. მიღებული შედეგები ეთანხმება ლიტერატურულ მონაცემებს [2, 6, 10].

### ცხრილი 1

#### პემოსტაზის სისტემის მაჩვენებლები დინამიკაში

პემოსტაზის მაჩვენებლები	მწვავე მიმდინარეობა			ქვემწვავე მიმდინარეობა			განვითარებული მიმდინარეობა			N
	I	II	III	I	II	III	I	II	III	
პროტოომბინის ინდექსი (%)	82,12 ± 3,2	75,36 ± 3,8	86,18 ± 47	86,18 ± 3,7	77,18 ± 4,1	91,25 ± 5,1	86,61 ± 3,8	76,22 ± 4,2	81,29 ± 4,8	75- 100
თრომბინის დრო (%)	9,58 ± 0,4	10,1 ± 0,5	9,61 ± 0,41	9,13 ± 0,6	10,2 ± 0,6	9,2 ± 0,5	9,39 ± 0,4	9,96 ± 0,5	9,86 ± 0,4	10
კოალინ-კეფა- ლინის დრო (%)	49,67 ± 3,1	57,16 ± 4,03	50,7 ± 4,3	48 ± 3,8	58,29 ± 4,2	46,25 ± 4,1	51,1 ± 4,01	57,22 ± 5,02	51,18 ± 4,8	50- 70
ეთანოლის ტესტი	(+) ან გა(+) (-)	(+)	(+) ან სუსტ(+)	(+)	(-)	სუსტ(+)	(+) ან გა(+) (-)	(+)	(+)	(-)
პროტამინსუ- ლიფატის ტესტი	(+) ან გა(+) (-)	(+)	(+) ან სუსტ(+)	(+)	(-)	სუსტ(+)	(+) ან გა(+) (-)	(-)	სუსტ(+)	(-)
ანტიოთომბინ III (%)	70,15 ± 4,7	88,15 ± 5,3	75,23 ± 4,9	71,31 ± 5,1	83,16 ± 6,4	77,16 ± 5,4	71,53 ± 5,12	82,13 ± 5,8	76,23 ± 5,12	82- 120
ფიბრინოლიზური აქტივობა (%)	12,73 ± 0,7	22,5 ± 1,3	14,7 ± 0,7	11,27 ± 0,8	20,26 ± 1,4	13,41 ± 0,81	12,12 ± 0,7	19,19 ± 1,1	13,94 ± 0,9	16- 25
ფიბრინოგენი (გ/ლ)	4,45 ± 0,5	3,61 ± 0,7	4,39 ± 0,7	4,9 ± 0,6	3,75 ± 0,7	5,01 ± 0,8	4,83 ± 0,7	3,83 ± 0,7	4,61 ± 0,8	2-4
თრომბოციტები (10 <sup>9</sup> ლ)	1765 ± 87	212,4 ± 11,2	181,4 ± 13,6	178,4 ± 7,4	202,3 ± 11,9	180,3 ± 14,6	168,4 ± 8,1	185,3 ± 12,1	174 ± 13,8	180- 220

I – მაჩვენებლები კლინიკაში შემოსელისას; II – მაჩვენებლები მკურნალობის შემდეგ ძირითად ჯგუფში; III – მაჩვენებლები მკურნალობის შემდეგ საკონტროლო ჯგუფში.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგებით, ძირითადი ჯგუფის პაციენტებში კლინიკური გაუმჯობესება ხდებოდა 7-9 დღით უფრო სწრაფად, ხოლო მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, ხდებოდა ჰეპარინის საწყისი დოზის შემცირება 15-20%-ით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ ჯგუფის პაციენტებში ხდებოდა პემოსტაზის სისტემის ყველა მაჩვენებლის ნორმალიზება. პროტოომბინის ინდექსს პერიოდის გლების ტენდენცია, თუმცა რჩებოდა ნორმის ფარგლებში. დანარჩენი მონაცემები, კერძოდ თრომბინის დრო, კოალინ-კეფალინის დრო, ანტიოთომბინ III და თრომბოციტების რაოდენობა, აგრეთვე პარაკოაგულაციური ტესტები, ფიბრინოლიზური აქტივობა და ფიბრინოგენის რაოდენობა, უბრუნდებოდა ნორმის მაჩვენებლებს; შეიმჩნეოდა შემდეგი

ტენდენცია – ეს ცვლილებები უფრო მკვეთრად და სწრაფად ხდებოდა დააგადების მწვავე მიმდინარეობისას და, შესაბამისად, ნაკლები ხარისხით – ქავეზავე და გახანგრძლივებული მიმდინარეობისას.

რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს, აქ მკურნალობის შედეგად ნორმის მაჩვენებელს მიუახლოვდა ორომბინის და კოლინ-ჰეფალინის დრო, ანტიორომბინ III-სა და ორომბოციტების რაოდენობა, ხოლო ფიბრინოზის ულ აქტივობას და ფიბრინოგენის რაოდენობას თუმცა დადებითი დინამიკა ჰქონდა, საბოლოოდ მაინც ნორმიდან სარწყენოდ გადახსრილი დარჩა. ასე რომ, ამ პაციენტებს კლინიკიდან გაწერისას რჩებოდათ სუსტად გამოხატული ჰიპერკოაგულაცია, რაც მოგვიანებითი ორომბოციტები გართულებების რისკს ტოვებდა.

ლიტერატურით დაწერილია ლაზეროთერაპიის მეშვეობით, ჰიპერკოაგულაციური მდგომარეობის დროს, ორომბინისა და ფიბრინოგენის რაოდენობის მომატება, ფიბრინის რაოდენობის კლება, ანტიორომბინ III-ს მატება და ფიბრინოზინული აქტივობის ზრდა [12].

ასევე, ლიტერატურის მონაცემებით ნაჩვენებია ჰიპერბარული ოქსიგენაციის მოქმედებით სისხლის კოაგულაციური მაჩვენებლის დაჭვითება, ფიბრინოზინული აქტივობის მატება და სისხლის რეოლოგიის გაუმჯობესება ჰერიტონიტიან ავადმყოფებში. ამ მაჩვენებლების სტაბილიზაცია ხდებოდა 5-7 დღეში [11, 13].

ამ ორი მეთოდის კომპლექსური მოქმედება, ჩვენ მიერ ერთადერთ ნაშრომშია მოძიებული, სადაც საქმე ეხებოდა კიდურების რევასკულიზაციას კრიტიკული იშემიების დროს [4].

ამრიგად, ბაქტერიული ენდოკარდიტის დროს, პაციენტებს მკვეთრად ერღვევათ ჰემოკოაგულაციური ჰემოსტაზი – ვლინდება ჰიპერკოაგულაცია, ხოლო მეურნალობის კომპლექსში ინტრავენური ლაზეროთერაპიისა და ჰიპერბარული ოქსიგენაციის ჩართვა მკვეთრად აუმჯობესებს პაციენტთა მდგომარეობას, დადებითად მოქმედებს დარღვეულ ჰემოსტაზის სისტემაზე და იწვევს მის ნორმალიზებას, ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს აღრეულ და მოგვიანო ორომბო-ემბოლიური და ორომბოჰიმორაგიული გართულებების სისტემება და ხარისხს.

## ლიტერატურა

1. Бурдули Н.М., Аксенова И.З. Клин. Мед., 2004, 8, 34-37.
2. Гуревич М.А., Газина С.Я. Клин. Мед., 2004, 8, 4-9.
3. Гуревич М.А., Газина С.Я. Клин. Мед., 2004, 9, 4-10.
4. Катынов В.В. Нижегородский мед. журн., 1999, 4, 59-62.
5. Леонтьева Н.В. Эфферент. терапия, 1998, 4, 21-24.
6. Мильто А.С. Тер.Архив, 1998, 8, 54-56.
7. Тюрин В.П. Инфекционные эндокардиты. Москва, 2002.
8. Хубулева Г.Г., Маслов С.В. Клин. Мед., 2004, 3, 58-62.
9. Шуров В.А., Сазанова Н.В., Долганова Т.И. Методология флюметрии, 2001, вып. 5, 2001, 65-75.
10. Bayer A.S., Bolger A.F. <http://www.americanheart.org/scientific/1998/129801.html>

11. Buras J. Int. Anesthesiol Clin., 2000, 38, 91-109.
12. Fleming K., Gullum N. 2004. <http://www.medscape.com/viewarticle/485545>
13. Grim S., Gottlieb L. J. Am. Med. Assoc., 1998, 263, 221-226.
14. Kaye D. Am. Intern. Med., 1996, 124, 606-608.

## ИЗМЕНЕНИЕ ПОКАЗАТЕЛЕЙ ГЕМОСТАЗА ПОД ДЕЙСТВИЕМ НИЗКОИНТЕНСИВНОЙ ЛАЗЕРОТЕРАПИИ И ГИПЕРБАРИЧЕСКОЙ ОКСИГЕНАЦИИ ПРИ БАКТЕРИАЛЬНЫХ ЭНДОКАРДИТАХ

*I. Kantaria, I. Megreladze, N. Lapiashvili, M. Kanashvili*

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Изучено состояния системы гемокоагуляционного гемостаза у больных разными формами бактериального эндокардита, при базисной терапии (30 больных) и при добавлении в курс лечения внутривенной лазеротерапии и гипербарической оксигенации (52 больных). Состояния гемостаза изучали по 9 показателям.

При поступлении в клинику у всех больных была выражена гиперкоагуляция. В контрольной группе, при выписке из стационара все еще оставались высокие показатели, хотя всем больным вводили гепарин. В основной группе при выписке отмечалась нормализация системы гемостаза.

## CHANGE OF HEMOSTASIS PARAMETERS UNDER ACTION OF LASER THERAPIES AND HYPERBARIC OXYGEN THERAPY IN BACTERIAL ENDOCARDITIS

*I. Kantaria, I. Megreladze, N. Lapiashvili, M. Kanashvili*

Georgian State Medical Academy, Tbilisi

### SUMMARY

Conditions of hemostasis system in the patients with different forms of bacterial endocarditis has been studied during standard therapy (30 patients) and after the course of the laser therapies and hyperbaric oxygen therapy (52 patients). Total of nine parameters of hemostasis were studied.

All the patients, at the moment of admission into clinic had hypercoagulation. Although all patients were given heparin, the high level of hypercoagulation still was observed at the moment of discharge from the hospital. In all patients of the second group normalization of all parameters was noted.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, გ. 31, № 5.  
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 5.  
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 5.

## პომპინირებული ფუნგიციდის RIDOMIL GOLD-MZ-ს

### ტოქსიკურობის ზოგიერთი საკითხი

თ. ლევან ქარაძე, ბ. აბაშიძე, გ. სააკაძე, ჯ. ონიანი<sup>1</sup>

ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი; <sup>1</sup> თ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 21.07.2005

ვირთაგვებზე ჩატარებულ მწვავე ცეცხლში შესწავლილია სოფლის მეურნეობაში ფართოდ ხმარებული კომბინირებული ფუნგიციდის, რიდომილ გოლდ-მც-ს (Ridomil Gold-MZ, მანკოცები + მეფენოქსამი) ტოქსიკური თვისებები. დადგინდა, რომ აღნიშნული პრეპარატი მიეკუთვნება დაბალტოქსიცერ ნივთიერებებს ( $DL_{50} > 5000$  მგ/კგ) და მისი ტოქსიკურობა არ აღემატება მისი ცალკეული ინგრედიენტების ტოქსიკურობას. მეორე მხრივ, კომბინაციაში მანკოცების მაღალი კანცენტრაციის გამო (16:1), რომელიც ხასიათდება კანცეროგენული თვისებებით, პრეპარატს უნდა მიენიჭოს საშიშროების II კლასი, WHO-ს კლასიფიკაციის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ფუნგიციდი, ტოქსიკურობა, კანცეროგენობა, მანკოცები

იმ პესტიციდებს შორის, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ დითოკარბაბატის ჯგუფის შემცველ კომბინირებულ ფუნგიციდებს. ბოლო წლებში საქართველოში უფასტტურად გამოიყენება ისეთი ფუნგიციდური პრეპარატები, როგორიცაა რიდომილ გოლდ-მც, რიდონიტი მც, აკრობატი, ავანგარდი, ტატტუ ვალსალაქსილი და სხვა. პრეპარატებს აწარმოებენ სხეადასხევა ფირმები, ძირითადად, მანკოცების გამოიყენებით, სხვადასხვა ჯგუფის ნივთიერებებთან კომბინაციაში.

დითოკარბაბატის ჯგუფის პრეპარატები, შედარებით დაბალი ტოქსიკურობისა და გარემოში ნაკლები მდგრადობის გამო, ითვლებიან მცენარეთა დაცვის პერსპექტიულ საშუალებებად. ამაუკე დროს, არ არის გამორიცხული მათი მოხვედრა ნიადაგიდან მცენარეში და შემდეგ, საკვები პროდუქტებით, ადამიანის ორგანიზმში, და მასზე მავნე ზემოქმედების შესაძლებლობაც. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შვეიცარიული ფირმის “Syngenta Krop Protecshen AG” კომბინირებული ფუნგიციდის

რიდომილ გოლდ-მც (Ridomil Gold-MZ) ტოქსიკურობისა და საშიშროების დაზღვნა ორგანიზმში ერთჯერადი პერორალური ზემოქმედების პირობებში. შესაყვანი ნივთიერება შედგება მანქოცებისა (640 გ/კგ) და მეფენოქსიამისაგან (40 მგ/კგ). პრეპარატული ფორმა გამოზნულია სხვადასხვა მანქბდებისგან ვენახის, კარტოფილის, ბოსტნეული კულტურების და თამბაქოს დასაცავად.

პრეპარატის შემაღებენეული ინგრედიენტებია მანქოცები და მეფენოქსამი.

1. მანქოცები თუთისა და მარგანეცის ეთილენ-ბის-დითოქარბამატის კომპლექსია – [-SCSNH(CH<sub>2</sub>)<sub>2</sub> NHCSSMn<sub>2</sub>(Zn)].

მანქოცები, ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ, ნაწილობრივ აბსორბირდება. კერძოდ, სამი-ექვსი საათის ზემოქმედების შემდეგ აბსორბირდება დოზის 50%. ორგანიზმიდან მანქოცები გამოიყოფა, ძირითადად, განავალთან და შარდთან ერთად, ზემოქმედებიდან 36 საათის შემდეგ. ქსოვილებში რჩება პრეპარატის მხოლოდ 4%. პრეპარატის ყველაზე მაღალი დოზე აღინიშნება ფარისებრ ჯირკვალში. მანქოცების ძირითადი ტოქსიკური მეტაბოლიტია ეთილენთოოშარდოვანი. ლიტერატურის მონაცემებიდან ცნობილია, რომ მანქოცები, შედარებით მაღალი დოზებით ზემოქმედების შემთხვევაში, იწვევს ტერატოგენულ მოქმედებას, აგრეთვე კონცეროგენულ ეფექტებს, ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიან სიმსივნის სახით. ცნობილია, რომ მანქოცების კანცეროგენული თვისებები განპირობებულია მეტაბოლიტ ეთილენთოოშარდოვანას მოქმედებით. ამავე დროს, ექსპრიმენტში სარწმუნოდ აღინიშნება დოზა-ეფექტის დამოკიდებულება. არატოქსიკური დოზების გამოყენებისას, ფარისებრი ჯირკვალი არ ზიანდება. აღინიშნული უფასო მიჩნევლია მეორადად. აქვთ გამომდინარე, მოუხედავად მწვავე ტოქსიკური დისტანციაზე დაბალი დონისა (მანქოცების საშუალო სასიკვდილო დოზა DL<sub>50</sub> აღემატება > 5000 მგ/კგ), ევროგაურთიანების დირექტივის 78/63/EEC-ს თანახმად, იგი კლასიფიცირდება როგორც საშიში (II კლასი, WHO).

2. მეფენოქსამი – საშუალო სასიკვდილო დოზა, პერორალური ზემოქმედებისას, DL<sub>50</sub> > 1000 და < 3000 მგ/კგ, ხოლო DL<sub>50</sub> დერმალური ზემოქმედებისას > 4000 მგ/კგ.

## მასალა და მათობები

რიდომილ გოლდ-მც-ს პრეპარატული ფორმის (მანქოცები 640 გ/კგ, + მეფენოქსამი – 40 მგ/კგ) ტოქსიკურობისა და ორგანიზმშე მოქმედების თავისებურების დადგენის მიზნით, ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა უხახო თეთრ ვირთაგვებზე სხეულის მასით 180-200 გ. მწვავე ტოქსიკურების პარამეტრებისა და ზოგადტოქსიკური მოქმედების ხასიათს ვადგენდით მიღებული მეთოდიკის [2], პერიფერიული სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობის [1] და სისხლში შაქრის შემცველობის [1] მიხედვით.

## მაღალი და მათი განხილვა

ჩატარებული კლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ პრეპარატი რიდომილი გოლდი მც-ს ერთჯერადი პერორალური შეყვანა თეთრი ვირ-

თაგვების ორგანიზმში, დოზებით 1000, 7000, 5000 და 3000 მგ/კგ, ზემოქმედებიდან 2-7 დღის განმავლობაში, იწვევდა ინტოქსიკაციის განვითარებას და ცხოველთა უძრავდეს სრბის დაღუპვას. ინტოქსიკაციის კლინიკურ სურათში ჭარბობდა ცნის-ის დათვეუნვის და კუჭ-ნაწლავის აშლილობის სიმპტომები.

დოზების შემცირებასთან ერთად (200 მგ/კგ), ინტოქსიკაციის სიმძიმე ნაკლებად იყო გამოხატული და, შესაბამისად, ცხოველების დაღუპვას ადგილი არ ჰქონია.

### ცხრილი 1

თეთრი ვირთაგვების ორგანიზმში ზოგიერთი მაჩვენებლის ცვლილება რიდომილ გოდლ-მც-ს ერთჯერადი პერორალური ზემოქმედებისას  
 (ცვლილებები სტატისტიკურად სარწმუნოა,  $P < 0,05$ )

მაჩვენებლები	ნივთიერების დოზა, მგ/კგ	დაკვირვების 5 დღე ცდის დაწყებიდან
პეროგლიდინი (გ/ლ)	5000 2000 1000 საკონტროლო	80,5 ± 4,9 85,0 ± 2,3 135,0 ± 4,1 142,3 ± 2,3
ერითროციტი ( $\times 10^9$ გ/ლ)	5000 2000 1000 საკონტროლო	2,0 ± 0,17 2,5 ± 0,21 4,2 ± 0,16 4,3 ± 0,66
ლუკოციტი ( $\times 10^9$ გ/ლ)	5000 2000 1000 საკონტროლო	12,6 ± 1,8 10,2 ± 1,2 5,8 ± 0,9
შაქარი (მმოლ/ლ)	5000 2000 1000 საკონტროლო	13,6 ± 0,15 12,1 ± 0,17 6,2 ± 0,15 5,8 ± 0,2

კატალაზას და ციტოქრომოქსიდაზას განსაზღვრის მიზნით. *S.aureus*-ის ექსპრეს დიაგნოსტიკისა და წ-ჰემოლიუზური სტრეპტოკოკების A, B, C, D, F და G ჯგუფების დიფერენციაციის მიზნით, ვაწარმოებდით ლატექს-აგლუტინაციას *slidex*-სისტემების გამოყენებით. გამოყოფილი მიკროების იდენტიფიკაციის და ბიოქიმიური თვისებების შესასწავლად ვიყენებდით API-საიდენტიფიკაციო სისტემას მიკრობების თითოეული ჯგუფისათვის. API-ზოლების ფოსოვებსა და მიკროსინჯარებში სტანდარტიზებული მასალის შეტანის შემდეგ ვახდენდით მის ინკუბაციას 24-48 საათის განმავლობაში, კულტივირების შესაბამის პირობებში.

გამოყვლევის III ეტაპი – თურმოსტატირების შემდეგ, API ზოლების ფოსოებში შეგვერდნა შესაბამისი რეაქტივები. შედგების წაკითხვას ვაწარმოებდით საინტერპრეტაციო ცხრილით და სათანადო ანალიზური კატალოგშის მიხედვით გსაზღვრავდით გამომწვევის გვარსა და სახეობას. კრიტიკულ მაჩვენებლად ვთვლილით მიკრობის ამოთესვის  $10^5$  / 1 მლ-ში, რომელიც მიგვთითებდა ჩირქოვნი ინფექციის შესაძლებლობაზე. გამომწვევების ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობის დაღვენას ვაწარმოებდით ATB სტანდარტიზებული სისტემების გამოყენებით (იშვიათად ვიყენებდით აგარში დიფუზის მეთოდს მიკრობთა განსაზღვრული ჯგუფისათვის). ATB ზოლები იძლევა საშუალებას განისაზღვროს მიკრობთა მგრძნობელობა ანტიბიოტიკებისადმი ნახევრად თხიერ ნიადაგში ისეთ პირობებში, რომელიც რეფურვნებული მეთოდის ანალოგიურია. იგი იძლევა პრეპარატის მინიმალური მანიპილირებელი კონცენტრაციის განსაზღვრის საშუალებას, რაც მისი უდავო უპირატესობაა.

ATB ზოლები შედგება 16 წყვილი ფოსოსაგან. მათგან პირველი წყვილი ანტიბიოტიკებს არ შეიცავს და გამოიყენება ზრდის კონტროლისათვის. დანარჩენი 14 წყვილი შეიცავს ანტიბიოტიკებს ჩვეულებრივი და გაორმაგული კონცენტრაციით. ამ ფოსოებში, 18-24 სთ განმავლობაში,  $37^{\circ}\text{C}$ -ზე, მიკრობების ზრდა შეინიშნებოდა კისუალურად. მიღებული შედგერი კლასიფიკირდება, როგორც მგრძნობიარე, სუსტად მგრძნობიარე და რეზისტებული.

## ვადეგები და ვათი განხილვა

2003 წლის განმავლობაში შესწავლიდია პიოდერმიტების 29 შემთხვევა, აქედან მონოკულტურის სახით – 22 შემთხვევა, ანუ (75,8%). 7 შემთხვევაში ბაქტერიები არ გაიზარდა. შერეული ინფექციები არც ერთ შემთხვევაში არ აიღინიშნა. 22 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში, ანუ 50%-ში, ამოთესა *S.aureus*, ხოლო 7 შემთხვევაში (31,8%) – *S.epidermidis*. მასალა აღებული იყო პიოდერმული კერებიდან: სახიდან, ზედა კიდურებიდან, ქვედა კიდურებიდან, ლაგიწევშა მიღამოდან და ზედაპირული ჭრილობებიდან. თითო შემთხვევაში ამოთესა *Streptococcus* serogroup G, *S.xylosus*, *S.hemolyticus*, *S.chromogenes* (4,5%).

2004 წელს შესწავლიდი იყო პიოდერმიტების 52 შემთხვევა. აქედან ბაქტერიები მონოკულტურის სახით გამოიყო 34 შემთხვევაში, ანუ 65,4%-ში. ასოციაციის სახით 4 შემთხვევაში, ანუ 7,7%-ში, ხოლო 12 შემთხვევაში ბაქტერიები არ გამოიყო. 38 შემთხვევიდან 12 შემთხვევაში, ამოთესა *S.aureus*, 12 შემთხვევაში, ანუ 31,6%-ში, ამოთესა *S.epidermidis*. მასალა აღე-

ბული იყო კანის პიოდერმული ელემენტებიდან და კანის გართულებული ჭრილობებიდან. 3 შემთხვევაში ამოითესა *Pseudomonas aeruginosa* (7,8%), ძირითადად, კანის გართულებული ჭრილობებიდან. თითო შემთხვევაში ამოითესა: *S.chromogenes*; *Pepto streptococcus*, *C.albicans*, *S.capitis*, *Acinetobacter*, *Candida parapsilosis*, *Gremella morbillorum*, *Klebsiella pneumoniae*, 3,8%-ში თოთვეული. 2004 წელს 38 შემთხვევიდან მიკრობული ასოციაციები დაფიქ-სირდა 4 შემთხვევაში, ანუ 10,5%-ში. ესენია: *E.coli* + *C.albicans*, *S.aureus* + *E.coli*, *Streptococcus serogroup A* + *S.aureus*, *Seratia marcescens* + *C.albicans*.

2005 წლის 6 თვის განმავლობაში შესწავლილია პიოდერმიტების 24 შემთხვევა. მიკრობები, მონოკულტურის სახით, გამოიყო 16 შემთხვევაში, ანუ 66,6%-ში. ასოციაციის სახით – 4 შემთხვევაში, ანუ 16,6%-ში – *Streptococcus serogroup A* + *S.aureus*, *Klebsiella pneumoniae* + *C.albicans*, *S.aureus* + *Klebsiella pneumoniae*, *S.epidermidis* + *Brevibacterium spp.* ბაქტერიები არ აღმოჩნდა 4 შემთხვევაში. 20 ანალიზიდან 6 შემთხვევაში, ანუ 30%-ში, ამოითესა *S.aureus*, ხოლო 5 შემთხვევაში – *S.epidermidis* (25%). თითო შემთხვევაში ამოითესა: *Streptococcus serogroup A*, *C.albicans*, *Enterobacter cloacae*, *S.chromogenes*, *Corynebacterium jeikeium* (5%). მასალა, კვლა შემთხვევაში, იყო კანის ჭრილობებიდან.

ვინაიდან შედეგების მიხედვით დომინირებს *S.aureus* და *S.epidermidis*, კვლუ-ვის შედეგებ ეტაზე ჩვენ დავისახეთ მიზნად ამ ორი კოკური ბაქტერიის ან-ტიმიკრობული პრეპარატებისასადმი მგრძნობელობა-რეზისტენტობის შესწავლა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 1-ში. *S.aureus*-სი უმრავლეს ანტიბიოტიკების მიმართ ამჟღაფნებდა მაღალ მგრძნობელობას, ხოლო რეზის-ტენტული იყო: ამპიცილინის, პენიცილინის, ტრიმეტრომიცინის, ერითრომიცინის, პოლიმიქსინის, ოლეანდომიცინის და ოქსაცილინის მიმართ. დაახლოებით ანალიზიური სურათი იყო *S.epidermidis*-ის მიმართ.

ამგვარად, პიოდერმიტების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლამ, საერთაშორისო დონის მიკრობიოლოგიური მეთოდების გამოყენებით, ახ-ვენა, რომ 2 წლის და 6 თვის დინამიკაში, 2003-2005 წლებში, 105 შემთხვე-ვიდან 35 შემთხვევაში, ანუ 33,3%-ში მიკრობული ზრდა არ აღინიშნა. ეს ფაქტი მეტად საინტერესოა, ვინაიდან კლინიკურად გამოხატული შემთხვე-ვების 1/3-ში მიკრობული კულტურები არ იყო გამოყოფილი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: გამოეკლევამდე დაწყებული ანტიმიკრობული პრეპარა-ტების დანიშნა – როგორც საინექციო, ასევე გარეგანი გამოვენების ფორმებით, მასალის არასწორი აღება, ან მასალის აღებიდან ჩაოსევამდე გასული დიდი დრო და შენახვის არააღევატური პირობები.

პიოდერმიტების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლამ 2003-2005 წწ. გვივენა, რომ 53 შემთხვევაში (50,5%-ში) მისი ძირითადი გამომწვევებია სტაფილოკოკები – *S.aureus*, *S.epidermidis*. 8 შემთხვევაში კი ამოითესა სტრეპტოკოკები (7,6%). 3 შემთხვევაში ამოითესა *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella pneumoniae* (3,7%); ხოლო, საფუარისებრი სოკო *C.albicans*-სი 2 (2,5%) შემთხვევაში. *Peptostreptococcus*, *Gemella morbillorum*, *Acinetobacter spp.*, *Enterobacter cloacae*, *Corynebacterium jeikeium*, *Candida parapsilosis*, *S.xylosus*, *S.haemolyticus* და *S.capitis* ამოითესა თითო შემთხვევაში (1,2%).

**კოკური ბაქტერიების მგრძნობელობა-რეზისტენტობა  
ანტომიკრობული პრეპარატებისადმი**

მგრძნობიარე	სუსტად მგრძნობიარე	ღუზისტენტული
<i>S.aureus</i>		
დოქსაციკლინი განტამიცინი ამიკაცინი განკომიცინი ლიოფამიცინი ნორფლოქსაცინი ციპროფლოქსაცინი ცეფტაზიდინი ტობრამიცინი ნიტროქსოლინი	ტეტრაციკლინი ცეფაზოლინი კანამიცინი კლინდიმიცინი ცეფალუქსინი	ოქსაცილინი ამპიცილინი ამოქსაცილინი კენიცილინი ქრისტომიცინი ოლგანდომიცინი ტრიმეტროპინი ჰილიმქსინი
<i>S.epidermidis</i>		
გენტამიცინი ამიკაცინი კლინდიმიცინი ლიოფამიცინი ნორფლოქსაცინი ციპროფლოქსაცინი იმიპენემი აზლოცილინი ცეფუროქსინი ცეპტაზიდინი	ოქსაცილინი ტობრამიცინი ცეფაზოლინი კანამიცინი ცეფალუქსინი	ამპიცილინი ჰენიცილინი ამოქსაცილინი ერითრიმიცინი ოქსაცილინი ოლგანდომიცინი

მიკრობული ასოციაციები დაკვირვების პერიოდში აღნიშნული იყო მხოლოდ 8 შემთხვევაში (10%), რომლებიც, ძირითადად, წარმოდგენილი იყო 2-2 მიკრობით, რომელთა შორის დომინირებდა ცალკეული ბაქტერიები და *C.albicans*-ის კომბინაციები. სტაფილოკოკების – *S.aureus*, *S.epidermidis* – მგრძნობელობა-რეზისტენტობის შესწავლამ 40 სხვადასხვა ანტიმიკრობული პრეპარატისადმი გვიჩვენა დაახლოებით ერთი და იგივე სურათი. მიკრობები კარგ მგრძნობელობას იჩენდნენ ახალი თაობის პრეპარატებისადმი, ხოლო რეზისტენტული იყვნენ ჰენიცილინის, ტეტრაციკლინის და მაკროლიდების მიმართ.

## ლიტერატურა

1. ქერქელიძე გ. კლინიკური ბაქტერიოლოგია. თბილისი, 2001.
2. Биргер М.О. Справочник по микробиологическим и вирусологическим методам исследования. Москва, Медицина, 1983.
3. Новел А. Микробиология кожи. Москва, Мир, 1987.
4. Покровский В.И., Позднеев О.К. Медицинская микробиология. Москва, Медицина, 1999.
5. Тец В.В. Справочник по клинической микробиологии. Москва, Медицина, 1978.

## ИЗУЧЕНИЕ ЭТИОЛОГИЧЕСКОЙ СТРУКТУРЫ ПИОДЕРМИТОВ ПРИ ПОМОЩИ СОВРЕМЕННЫХ ТЕХНОЛОГИЙ БАКТЕРИОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ

*R. Хомасуридзе, K. Апридонидзе, M. Кереселидзе<sup>1</sup>, T. Робакидзе<sup>1</sup>*

Государственная медицинская Академия Грузии, Тбилиси; <sup>1</sup>Медицинский центр "Цито", Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Изучение этиологической структуры пиодермитов в 2003-2005 гг.. показало, что в 53 (50,5%) случаях они были вызваны стафилококками (*S.aureus*, *S.epidermidis*). В 8 случаях в результате посева выявлены стрептококки (7,6%). В 3 случаях посев выявил *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella pneumoniae* (3,7%), а дрожжеподобный гриб *C.albicans* – в двух случаях (2,5%). *Peptostreptococcus*, *Gemella morbillorum*, *Acinetobacter spp*, *Enterobacter cloacae*, *Corynebacterium jeikeium*, *Candida parapsilosis*, *S.xylosus*, *S.haemolyticus*, *S.capitis* были выявлены лишь в одном случае каждый (1,2%).

В период наблюдения микробные ассоциации отмечались только в 8 случаях (10%), которые в основном были представлены парами микробов, среди которых доминировали отдельные бактерии и комбинации *C.albicans*. Изучение чувствительности-резистентности среди стафилококков *S.aureus* и *S.epidermidis*, в отношение 40 разных antimикробных препаратов, показало приблизительно одну и ту же картину. Микробы проявляли хорошую чувствительность в отношение препаратов нового поколения, но были резистентными к пенициллину, тетрациклину и макролидам.

### STUDY OF THE ETIOLOGICAL STRUCTURE OF PYODERMA USING MODERN TECHNOLOGIES OF BACTERIOLOGICAL RESEARCH

*R. Khomasuridze, K. Apridonidze, M. Kereselidze, <sup>1</sup>T. Robakidze<sup>1</sup>*

Georgian State Medical Academy, Tbilisi; <sup>1</sup>Medical Center "CITO", Ltd., Tbilisi

### SUMMARY

Study of etiological structure of pyoderma in the years 2003 – 2005 proved that in 53 cases (50.5 %) the main agents are staphylococci (*S.aureus*, *S.epidermidis*). In 8 cases the streptococci were found in the samples (7.6%). In 3 cases *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella pneumoniae* (3.7%) were obtained. Out of the yeast fungi – *C. albicans* was found in 2 cases (2.5%). *Peptostreptococcus*, *Gemells morbillorum*, *Acinetobacter spp*, *Enterobacter cloacae*, *Corynebacterium jeikeium*, *Candida parapsilosis* *S. xylosus*, *S.haemolyticus*, *S.capitis* were found in one case each (1.2%). Microbial associations were found in 8 cases (10 %) that were presented by 2-2 microbes, some of the bacteria and *C.albicans* combinations dominating. The study of the sensitivity-resistance of *S.aureus* and *S.epidermidis* against the 40 different antimicrobial drugs showed almost the same results. The microbes showed high sensitivity to the drugs of new generation, and were resistant to penicillin, tetracycline, and macrolides.

## ЯВЛЕНИЕ КЛАЗМАТОЗА СО СТОРОНЫ ФОРМЕННЫХ ЭЛЕМЕНТОВ КРОВИ ПРИ КОРЕВОМ ВИРУСЕ

*М. Джавахадзе, Зиг. Зурабашвили, Х. Бакузанашвили*

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

Принята 21.07.2005

Изучены форменные элементы крови при коревой инфекции. Показана особенность явления клазматоза при коревом вирусе. Материал рассмотрен на уровне светового и электронного микроскопов. Методом электронной микроскопии рассмотрены субструктурные элементы клетки при данном явлении. Материал сравнен с контрольными показателями.

**Ключевые слова:** корь, явление клазматоза, защита

Явление клазматоза представляется, как защитная реакция от антигена вирусного генеза [2]. В тоже время следует обратить внимание, что выброс антигена осуществляется лизосомами, которые вначале фагоцитируют его, затем транспортируют его к краю стенки клетки. Здесь край цитоплазмы выбухает, сюда загоняются фагоцитировавшие антиген лизосомы, а вместе с лизосомами проникают вакуоли, рибосомы, матрикс цитоплазмы, митохондрии. Далее, цитоплазматическая мембрана, окружающая выбухшую часть цитоплазмы, перешнуровывается и отделяется от тела клетки. Возникает явление клазматоза, а вместе с ним и “изолированное” структурное образование, которое связи с клеткой уже не имеет. Именно в нем, по данным А.Ленинджера [3], и происходит дальнейшее разрушение фагоцитированного лизосомами неспецифического (вирусного) антигена.

Что касается коревого антигена, то здесь явление клазматоза протекает иначе. Исследованию этого явления и посвящена данная работа.

Целью работы являлось изучение явления клазматоза у лиц, заболевших корью. Материал забирали при поступлении больного в стационар и перед выпиской из него. Всего взято 10 случаев, диагноз – корь. Исследованы форменные элементы крови. В качестве контрольного материала взята кровь практически здоровых людей (5 доноров). В каждом конкретном случае кровь бралась из пальца, делились мазки, которые фиксировались, а затем окрашивались азур-II зозином, по методу Андреса. Методом световой и электронной микроскопии исследованы белые форменные элементы крови (нейтрофилы и лимфоциты). Для электронной

микроскопии получали лейкоцитарную пленку, которую фиксировали в глютаре, а затем переносили в 1% раствор осмия на буфере, обезвоживали, заливали в эпон. Материал резался на ультратоме и просматривали в электронном микроскопе.

Как показали наблюдения, у больных, поступивших в стационар, имеет место значительное увеличение агранулярного эндоплазматического ретикулума. В основном, это цистерны эндоплазматического ретикулума, а не канальцы. В отдельных цистернах отмечаются темные, точечные по величине, скопления, которые хорошо контурированы (четко осмиофильные). Подобные точечные, осмиофильного характера, скопления отмечаются не только в отдельных цистернах агранулярного ретикулума, но и по всей поверхности нейтрофилов и лимфоцитов больных корью. Скопления расположены неоднородно. На контрольном материале подобных скоплений нет ни на матриксе цитоплазмы, ни на поверхности цистерн эндоплазматического ретикулума. Цистерны эндоплазматического ретикулума как-бы окружают отдельные скопления осмиофильных точек. В цистернах они спрессовываются в единую, общую массу, “агглютируются” с последующим выбросом подобных цистерн из тела клетки. Возникает явление клазматоза. Явление клазматоза четко представлено на материале, взятом при поступлении больного в стационар (Рис. 1).




Рис. 1. Больной, поступивший в стационар с диагнозом – корь. Нейтрофил. Явление клазматоза. Коревые включения представлены в виде осмиофильных точек (скопления в цистернах эндоплазматического ретикулума). Электронная микрофотограмма,  $\times 50000$ .

Исследование лейкоцитов больных перед выпиской из стационара показало следующее. Число цистерн эндоплазматического ретикулума значительно уменьшено, в основном, появляются канальцы, а не цистерны. Агранулярная эндоплазматическая сеть заменяется, преимущественно, на гранулярную. Появляются отдельные осмиофильные точки различной величины, сидящие на поверхности цитоплазматической мембранны. По своему характеру они напоминают структуры, описанные нами у больных корью при поступлении в стационар. Точки отмечаются не только на мембране цитоплазмы, но и на теле клетки, число их единичное, диаметр их составляет 120-150 нм. Матрикс цитоплазмы светлый. На поверхности канальцев агранулярной эндоплазматической сети часто просматриваются осмиофильного характера точки (Рис. 2).




Рис. 2. Тот же больной перед выпиской из стационара. Нейтрофил. Коревые включения на поверхности клетки. Электронная микрография,  $\times 50000$ .

Можно предположить, что именно эти осьмиофильного характера точки и являются коревыми включениями, которые путем явления клазматоза выбираются из тела клетки.

## ЛИТЕРАТУРА

1. Зурабашвили Зиг. Защитные проявления клетки. Тбилиси, 2000.
2. Кармышева В.Я. Поражение клеток при вирусных инфекциях. Москва, Медицина, 1999.
3. Ленинджер А. Биохимия. Москва, Мир, 1990.

## სისხლის ფორმიანი ელემენტების პლაზმატოზის მოვლენა ფითელას ვირუსის ღრმის

*გ. ჯაგახაძე, ზოგ. ზურაბაშვილი, ბ. ბაგუზანაშვილი  
საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი*

### რეზიუმე

შესწავლილია სისხლის ფორმიანი ელემენტები წითელას ინფექციის დროს. ნაჩვენებია კლასმატოზის მოვლენის თავისებურება წითელას ვირუსის დროს. მასალა შესწავლილია სინათლისა და ელექტრონული მიკროსკოპის მეთოდებით. ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით განხილულია უჯრედების სუბსტრუქტურული ელემენტები აღნიშნული მოვლენის დროს. მასალა შედარებულია საკონტროლო მონაცემებთან.

## CLASMATOSIS IN BLOOD CELLS AT MEASLES VIRUS

*M. Javakhadze, Zig. Zurabashvili, Kh. Bakuzanashvili*

Georgian State Medical Academy, Tbilisi

### SUMMARY

Blood cells have been studied at measles infection. Peculiarities of clasmatisos were shown at measles virus. The material was examined by means of light and electron microscopy methods. Using electron microscopy substructural elements of the cells were studied during the given phenomenon. The material was compared to the control data.

## ფერის გამოსაზღვრელი ობიექტები და სუბიექტები ფაქტორები და ფერების პლასიფიკაცია. ნაშილი I: ფერის გამოსაზღვრელი ფაქტორები. განხილვა

### დ. ჯანელიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის  
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 15.07.2005

ნაშრომის მიზანს შეადგინდა, ფერის აღქმის პროცესში მონაწილე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა და ფერების კლასიფიკაციის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის განხილვა. შემოთავაზებული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს, ფერის აღქმის პროცესში მონაწილე ფაქტორებიდან რომელია მნიშვნელოვანი ფერის თითოეული კონკრეტული ნაირსახეობის შემთხვევაში. წერილის პირველ ნაწილში განხილულია ფერის სუბიექტური შეგრძნების ფიზიკური კორელაცის დაულური ბუნება: ზოგჯერ ის შეესაბამება მოცემული მიდამოდან მხედველობის სისტემისენ მიმავალი სინათლის სპექტრულ-ენერგეტიკულ განაწილებას, ხოლო ზოგჯერ – მოცემული მიღამოს ზედამორის არეველის უნარს. განხილულია, აგრეთვე, ფერის აღქმის პროცესში მონაწილე სხევა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. მხედველობითი სტიმულის, დაკვირვების პირობების და მხედველობის სისტემის უუნიკოური მდგომარეობის თავისებურების მიხედვით, ფერის აღქმაში მონაწილე ფაქტორების ერთობლიობა ცვალებადია, ისევე, როგორც თითოეული ფაქტორის ხედრითი წილი ფერის აღქმის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ფერების კლასიფიკაცია, სპექტრული, პიგმენტური, ნაშდვილი, კონსტანტური, აკონსტანტური ფერები

ფერის შესახებ ინფორმაციის დამუშავება წარმოადგენს ადამიანის და ცხოველთა უმრავლესობის მხედველობის სისტემის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას.

ცნობილია, რომ ფერი სუბიექტური შეგრძნებაა, რომელიც ფიზიკურ ბუნებაში დამკვირვებლის გარეშე არ არსებობს. ფიზიკურ გარემოში არსებობს მხოლოდ გარკვეული ფიზიკური ფაქტორები, რომლებიც მხედველობის სისტემასთან ურთიერთქმედების შედეგად, სუბიექტის შინაგან გონებრივ რეალობაში იწვევენ ფერის შეგრძნებას [8]. ადამიანს შეუძლია

გაარჩიოს ერთ მილიონამდე ფერი, რომელთა აღწერა ხდება, ძირითადად, ხუთი სუბიექტური მახასიათებლის საფუძველზე. ესენია: hue, saturation, chroma, brightness, lightness. ფერების მთელი სიმრავლე იყოფა ორ ჯგუფად: ქრომატულ და აქრომატულ ფერებად. აქრომატულ ფერებს მიკუთხნება თეთრი, შავი და რუხი ფერები, ხოლო დანარჩენები — ქრომატულ ფერებს. ამავე დროს, ფერების დაყოფა ხდება მრავალი სხვა თავისებურების მიხედვით. შესაბამისად, განასხვავებენ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ფერებს, სპექტრულ და პიგმენტურ ფერებს, ოპონენტურ და არაოპონენტურ ფერებს, ძირითად და არაძირითად ფერებს და სხვა [3, 8, 9].

ჩენ შევვადეთ ფერების კლასიფიკაცია განგვეხილა სინათლის წყაროს ფიზიკური ბუნებისა (თვითმანათობელია იგი, თუ არათვითმანათობელი) და დაკვირვების პირობების (კერძოდ, დაკვირვების იზოლირებულ თუ არაიზოლირებულ პირობებში ხდება სინათლის წყაროს აღქმა და როგორი სინათლით ხდება არათვითმანათობელი სინათლის წყაროს განათება: თეთრი, სუსტი და საშუალო ქრომატული თუ ძლიერი ქრომატული სინათლით) გათვალისწინებით.

შედევლობითი სტიმულები იყოფა ორ მთავარ ჯგუფად. პირველი, შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი, არის თვითმანათობელი სინათლის წყაროები — სხეულები, რომლებსაც გააჩნიათ ელექტრომაგნიტური გამოსხივება სპექტრის ხილულ უბანში. მეორე, გაცილებით მრავალრიცხოვანი ჯგუფი, არათვითმანათობელი სინათლის წყაროებია — სხეულები, რომლებსაც თვითონ არ გააჩნიათ გამოსხივება სპექტრის ხილულ უბანში, მაგრამ ირკვლავენ (გაუმჯობერვალე სხეულები). ან აგარებენ (გამჭვირვალე სხეულები) ასეთ გამოსხივებას. სინათლის თვითმანათობელი წყაროები შეიძლება აღქმული იქნას მხედველობის სისტემის მიერ განათების სხვა წყაროს გარეშეც მაშინ როდესაც არათვითმანათობელი წყარო აღიქმება მხედველობის სისტემის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნათელია თვითმანათობელი წყაროი, ან სხვა არათვითმანათობელი წყაროდან არეკლილი, ან გაგარებული სინათლით.

აღმოჩნდა, რომ მხედველობის სისტემა სხვადასხვაგვარად რეაგირებს თვითმანათობელ და არათვითმანათობელ სინათლის წყაროებზე კერძოდ, თვითმანათობელი წყაროს შემთხვევაში გამოსხივების ფერის განმსაზღვრელი ფიზიკური ფაქტორია გამოსხივების სპექტრულ-ენერგეტიკული განაწილება (სმბ). არათვითმანათობელი სინათლის წყაროების შემთხვევაში, მათი ფერი განისაზღვრება განათების სმბ-ის და არათვითმანათობელი სინათლის წყაროების ურთიერთქმედების შედეგად და ფერის განმსაზღვრელი ფიზიკური ფაქტორი ზოგჯერ კორელირებს მოცველული უბნიდან მხედველობის სისტემისკენ მიმავალი ხილული გამოსხივების სმბ-თან, ზოგჯერ კი არა. ამასთან, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დაკვირვების პირობებს — დაკვირვების იზოლირებულ პირობებშია წარმოდგენილი მხედველობითი სტიმული, თუ არაიზოლირებულში. დაკვირვების იზოლირებული პირობები შემდგენ ისეთ პირობებს, როდესაც ერთი მხედველობითი სტიმული წარმოდგენილია მხედველობის ველში სიბრუნვეში, შავ ფონზე, ან როდესაც ეს სტიმული მოიცავს მთელ მხედველობით ველს.

ასეთ პირობებში აღქმულ ფერებს დამოუკიდებელ (unrelated) ფერებს უწოდებენ. დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში მხედველობითი სტიმული წარმოდგენილია მხედველობის ველში სხვა მხედველობით სტიმულთან ან სტიმულებთან ერთად. ასეთ პირობებში აღქმულ ფერებს დამოკიდებულ (related) ფერებს უწოდებენ. ამგვარად, დაკვირვების იზოლირებულ პირობებში აღქმულ ფერებს ეწოდება დამოუკიდებელი ფერები, ხოლო დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში აღქმულ ფერებს დამოკიდებული ფერები [9].

თვითმანათობელი და არათვითმანათობელი სინათლის წყაროებისა და დაკვირვების პირობების ძირითადი შესაძლო კომბინაციები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ჩამონათვალის სახით: 1. თვითმანათობელი სინათლის წყაროების ფერები დაკვირვების იზოლირებულ (a) და არაიზოლირებულ (b) პირობებში; 2. არათვითმანათობელი, გამჭვირვალე სინათლის წყაროების ფერები დაკვირვების იზოლირებულ (a) და არაიზოლირებულ (b) პირობებში; 3. არათვითმანათობელი, გაუმჯორვალე სინათლის წყაროების ფერები დაკვირვების იზოლირებულ (a) და არაიზოლირებულ (b) პირობებში. თავის მხრივ, 3a და 3b პუნქტები შეიცავს 3 ქვეპუნქტს იმის მიხედვით, თუ როგორი განათების პირობებში ხდება ამ სხეულების აღქმა: 3a და 3b<sub>1</sub> – თეთრი განათებისას, 3a<sub>2</sub> და 3b<sub>2</sub> – სუსტი და საშუალო ქრომატული განათებისას, 3a<sub>3</sub> და 3b<sub>3</sub> – ძლიერი ქრომატული განათებისას. 4. თვითმანათობელი და არათვითმანათობელი სინათლის წყაროების აღქმა დაკვირვების არაიზოლირებული პირობების დროს, როდესაც მხედველობის ველში ერთდროულად წარმოდგენილია თვითმანათობელი და არათვითმანათობელი სინათლის წყაროები და მეორე ნათებება პირველით ან სინათლის სხვა დამატებითი თვითმანათობელი წყაროთი. (რამდენადაც ეს უკანასკნელი ვარიანტი ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, ტექსტში ის არ არის განხილული). დაკვირვების იზოლირებულ პირობებში როგორც თვითმანათობელი, ასევე არათვითმანათობელი (გამჭვირვალე და გაუმჯორვალე) სინათლის წყაროების (ე.ი. ჩამონათვალის მიხედვით, 1a, 2a, 3a, 3a<sub>2</sub> და 3a<sub>3</sub> ვარიანტების დროს) ფერის განმსაზღვრული ფიზიკური ფაქტორია ამ წყაროებიდან მხედველობის სისტემისკენ მიმავალი სინათლის სტბ, ანუ, დამოუკიდებელი ფერების შემთხვევაში, არსებობს პირდაპირი, ცალსახა კავშირი მხედველობითი სტიმულიდან მომავალ ხილულ გამოსხივებასა და სტიმულის ფერს შორის. დაკვირვების არაიზოლირებული პირობებისას (1b, 2b, 3b<sub>1</sub>, 3b<sub>2</sub> და 3b<sub>3</sub> ვარიანტების დროს), ანუ დამოკიდებული ფერების შემთხვევაში, ასეთი ცალსახა კავშირი მხედველობითი სტიმულიდან მომავალ ხილულ გამოსხივებასა და სტიმულის ფერს შორის ყოველთვის აღარ არსებობს. ეს განპირობებულია, დამოკიდებული ფერების შემთხვევაში, ფერებს შორის განპირობებულია, დამოკიდებული ფერების შემთხვევაში, ფერებს შორის ზღაპრუალური (კონტრასტული და ასიმილაციური) ურთიერთქმედების არსებობით, ხოლო ზოგიერთ სიტუაციაში აგრეთვე ფერების კონსტანტური აღქმის ფენომენით [6, 7, 9, 11, 12]. კერძოდ, დაკვირვების არაიზოლირებული პირობებისას, თვითმანათობელი და არათვითმანათობელი, გამ-

ჭკირვალე სინათლის წყაროების შემთხვევაში (1b და 2b ვარიანტების დროს) მოცემული მხედველობითი სტიმულის ფერი დამოკიდებულია მხედველობითი სტიმულიდან ბადურამდე მიღწეული ხილული გამოსხივების სებ-ზე და ამ გამოსხივების ლატერალურ ურთიერთქმედებაზე სხვა სტიმულიდან ან სტიმულებიდან მოსულ გამოსხივებებთან (ე.წ. კონტრასტული და ასიმილაციური ურთიერთქმედება ფერებს შორის). ამგარად, დაკვირვების არაინტელირებულ პირობებში თვითმანათობელი და არათვითმანათობელი გამჭვირვალე სინათლის წყაროების (1b და 2b ვარიანტების დროს) ფერის განმსაზღვრელი ფიზიკური ფაქტორია ამ მხედველობითი სტიმულებიდან ბადურისკენ მიმავალი სინათლის სებ, რომელსაც ზედ ედება ნეიროფიზიოლოგიური პროცესით განპირობებული ლატერალური ურთიერთქმედება მომიჯნავე ფერებს შორის.

დაკვირვების არაინტელირებულ პირობებში, არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სინათლის წყაროების შემთხვევაში (3b ვარიანტის დროს) მათი ფერი დამოკიდებულია გაუმჭვირვალე სხეულების ზედაპირებთან განათების სების ურთიერთქმედებაზე. ამასთან, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თუ როგორი ტიპის განათება გამოიყენება: თეთრი (1), სუსტი და საშუალო ქრომატულობის განათება (2), თუ ძლიერი ქრომატულობის განათება (3). შესაბამისად, განათების ხასიათის მიხედვით შეიძლება განვა-სხვავოთ 3b სიტუაციის 3b<sub>1</sub>, 3b<sub>2</sub> და 3b<sub>3</sub> ქვესიტუაციები.

თეთრი და ძლიერი ქრომატულობის მქონე განათებისას (3b<sub>1</sub> და 3b<sub>3</sub> ვარიანტები) მოცემული მხედველობითი სტიმულის ფერი (ისევე, როგორც 1b და 2b ვარიანტებისას) დამოკიდებულია მხედველობითი სტიმულიდან ბადურამდე მიღწეული გამოსხივების სებ-ზე და მის ლატერალურ ურთიერთქმედებაზე დანარჩენი სტიმულებიდან მოსულ გამოსხივებებთან. ამგარად, არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სხეულების დამოკიდებული ფერის განმსაზღვრელი ფიზიკური ფაქტორი არის ამ სხეულების ზედაპირებიდან არეკლილი სინათლის სებ, თუ ეს სხეულები ნათდება თეთრი ან ძლიერი ქრომატულობის მქონე განათებით.

სუსტი ან საშუალო ქრომატულობის მქონე განათების პირობებში (3b<sub>2</sub> ვარიანტი) არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სხეულების დამოკიდებული ფერი განისაზღვრება ამ სხეულების ზედაპირების არეკლის უნარისა და განათების სების ურთიერთქმედებით, აგრეთვე, ფერებს შორის ასიმილაციური და კონტრასტული დაგერალური ურთიერთქმედებით. ამფაქტორებიდან მირთადი ფიზიკური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სხეულების ფერს სუსტი და საშუალო ქრომატული განათების პირობებში, ამ სხეულების ზედაპირების არეკლის უნარია. ეს განპირობებულია იმით, რომ სუსტი და საშუალო ქრომატული განათებისას დაკვირვების არაინტელირებულ პირობებში, თავს იჩენს ფერების აღქმის კონსტანტობის ფენომენი, რის გამოც მოცემული უბინის ფერითი კატეგორია განისაზღვრება მოცემული მიღამოს ზედაპირის არეკლის უნარით და არა ამ უბინიდან მხედველობის სისტემისკენ არეკლილი სინათლის სებით. ფერების კონსტანტური აღქმის ფენომენი

მდგომარეობს იმაში, რომ ფერები სუსტი და საშუალო ქრომატულობის მქონე განათებისას, დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში, აღიქმება როგორც მოცემულ სხეულთა ზედაპირების ფერი თეთრი განათებისას, ანუ როგორც ამ სხეულების „ნამდვილი ფერი“. ამა თუ იმ არათვით-მანათობელი გაუმჭვირვალე სხეულის „ნამდვილი ფერი“ (true colour) ეწოდება იმ ფერს, რომელიც გააჩნია სხეულს თეთრი განათებისას. ფერების კონსტანტური აღქმის ფენომენი არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს – სუსტ და საშუალო ქრომატულ განათებას შეაქვს თავისი წვლილი ფერის აღქმაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ პირობებში სხეულების ფერის განმსაზღვრელი ძირითადი ფიზიკური ფაქტორია მათი ზედაპირების არეველის უნარი, ანუ აღქმული ფერის კატეგორია განისაზღვრება ამ პარამეტრით და იგი აღიქმება კონსტანტურად, განათების სებ-ის საკმაოდ ფართო ფარგლებში, ცვლილებების მიუხედავად [6, 7, 9, 11, 12]. სუსტი და საშუალო ქრომატული განათებისას, თუ დაკვირვების პირობები იზოლირებულია, ფერების კონსტანტური აღქმა არ ხდება და მოცემული მიღამოს ფერის განმსაზღვრელი ფიზიკური პარამეტრია მისგან შედევლობის სისტემისკენ არევლილი სინათლის სებ (ჩამონათვალის მიხედვით 3a<sub>2</sub> სიტუაცია). ამგვარად, კონსტანტობის ფენომენი ვლინდება მხოლოდ სუსტი ან საშუალო ქრომატული განათებისას, დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში. ამ დროს მხედველობის სისტემა, ორი ან მეტი მხედველობითი სტიმულიდან (არათვითმანათობელი, გაუმჭვირვალე არაიზოლირებული ზედაპირებიდან) არევლილი სინათლის სებ-ის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების საფუძველზე, ახერხებს, მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ზედაპირის არევლის უნარი და ამ ფიზიკური პარამეტრის საფუძველზე დაადგინოს მისი ფერი.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ მოცემულ ვარიანტებს, მივიღებთ, რომ 1a, 2a, 3a<sub>1</sub>, 3a<sub>2</sub>, 3a<sub>3</sub>, 1b, 2b, 3b<sub>1</sub> და 3b<sub>2</sub> ვარიანტების დროს ფერის განმსაზღვრელი ფიზიკური ფაქტორია მხედველობითი სტიმულიდან მომავალი სინათლის სებ, ხოლო 3b<sub>2</sub> ვარიანტის დროს ფერის განმსაზღვრელი ძირითადი (ანუ ფერითი კატეგორიის განმსაზღვრელი) ფიზიკური პარამეტრია არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სხეულის ზედაპირის არევლის უნარი. უნდა აღინიშვნოს, რომ 3b<sub>2</sub> ვარიანტი არის ის ძირითადი რეჟიმი, რომელშიც მუშაობს მხედველობის სისტემა. კერძოდ, ფერადი მხედველობის სისტემის ძირითად, ეკოლუციურად ჩამოყალიბებულ, ფუნქციას წარმოადგენს არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სხეულების ზედაპირების ფერების აღქმა სუსტი და საშუალო ქრომატულობის მქონე განათებისას, დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში.

ამგვარად, ამა თუ იმ მიღამოს ფერის კატეგორიის განმსაზღვრელი ობიექტური ფიზიკური ფაქტორია ამ მიღამოდან მხედველობის სისტემის კენ მიმავალი ხილული გამოხსინების სებ, ან ამ მიღამოს ზედაპირის არევლის უნარი.

დაკვირვების არაიზოლირებულ პირობებში (ანუ, 1b, 2b, 3b<sub>1</sub>, 3b<sub>2</sub> და 3b<sub>3</sub> ვარიანტები), ფერის განმსაზღვრელ ამ ფიზიკურ ფაქტორებს, სუბიექტურ დონეზე ზედ ედება ფერებს შორის ლატერალური ურთიერთქმედება.

ფერი როგორც სუბიექტური შეგრძნება, დამოკიდებულია აგრეთვე მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე: დაკვირვების პირობებზე, მხედველობის სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე – მაგალითად, მისი აქტომატული და ქრომატული ადაპტაციის ხარისხზე, მხედველობის სისტემის ორგანიზაციის თავისებურებაზე – კერძოდ, იმაზე, რომ მხედველობის სისტემის მგრძნობელობა ხილული სპექტრის სხვადასხვა უბანში სხვადასხვაა, და ა.შ. [1, 2, 4, 5, 9]. თუ ამ ფაქტორებს განვალაგებთ მათი შესაძლო მნიშვნელობის მიხედვით ფერების აღქმის პროცესში, მივიღებთ დაახლოებით შემდგე თანმიმდევრობას: 1. თვითმანათობელი სინათლის წყაროდან ბადურისკენ მიმავალი გამოსხივების სებ; 2. მხედველობის სისტემის ფუნქციური მდგომარეობა, კერძოდ, მისი აქტომატული ან/და ქრომატული ადაპტაციის დონე; 3. დაკვირვების პირობები: ა. როდესაც მხედველობის ვალში წარმოდგენილია ერთი თვითმანათობელი წყარო (დაკვირვების იზოლირებული პირობები). ბ. როდესაც მხედველობის ვალში წარმოდგენილია ერთხე მეტი თვითმანათობელი წყარო (დაკვირვების არაიზოლირებული პირობები). ამ დროს ფერის აღქმის პროცესში ერთვება ლაბერალური ურთიერთქმედება მომიჯნავე ფერებს შორის. გ. როდესაც თვითმანათობელი წყარო (ან წყაროები) და არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე წყარო (ან წყაროები), განათებული ამ თვითმანათობელი წყაროთი, ან სხვა დამატებითი თვითმანათობელი წყაროთი, ერთდროულად არიან წარმოდგენილი მხედველობის ვალში. დ. მხედველობითი სტიმულის ან სტიმულების სივრცული მახასიათებლები: ფორმა, კუთხური ზომა, სტიმულების ურთიერთმდებარეობა მხედველობის ვალში (რაც განაპირობებს ლაბერალურ ურთიერთქმედებას ფერებს შორის) და სხვა. 4. მხედველობის სისტემის მუშაობის თავისებურებანი: ა. მისი მგრძნობელობა სხვადასხვა ხილული სპექტრის სხვადასხვა უბანში – ცნობილია, რომ თანაბარი ფიზიკური ინტენსივობის, მაგრამ სპექტრის სხვადასხვა უბნიდან მომავალი გამოსხივება არ აღიქმება, როგორც თანაბარი სიგაშკაშის ფერები. ქრომატული ფერები აღიქმება უფრო კაშკაშად, ვიდრე იგივე ფიზიკური ინტენსივობის აქტომატული ფერები. მაგალითად, 10 ტრ. (ტროლანდი) წითელი სინათლე ფიზიკური ინტენსივობის ლურჯი სინათლე ყოველთვის უფრო კაშკაშაა, ვიდრე წითელი, ეს უკანასკნელი კი – ვიდრე მწვანე. ბ. ფერითი შეგრძნებების არაერთგარეონება მხედველობითი ექლის გასწერი: ექსცენტრისიტეტის ზრდასთან ერთად, ფერები აღიქმება, როგორც ნაკლებად მაძღარი.

არათვითმანათობელი, გაუმჭვირვალე სინათლის წყაროების აღქმისას, ფერის განცდა ასევე წარმოადგენს მთელი რიგი ობიექტური (ფიზიკური) და სუბიექტური (ფიზიოფიზოლოგიური) ფაქტორების ფუნქციას, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა ხევდრითი წილი ფერის შეგრძნების ჩამოყალიბებაში. თუ ამ ფაქტორებს განვალაგებთ მათი დაახლოებითი ხევდრითი წილის გათვალისწინებით ფერის განცდის ჩამოყალიბებაში, მივიღებთ შემდგე თანმიმდევრობას.

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ფერის აღქმაზე არათვითმანათობელი გაუმჭვირვალე სინათლის წყაროს, ან წყაროების შემთხვევაში. 1. სინათ-

ლის წყაროს ზედაპირის არეკვლის უნარი ხილული სპექტრის ფარგლებში. 2. განათების სებ. 3. მხედველობის სისტემის ფუნქციური მდგრამარეობა, მისი აქტომატული ან/და ქრომატული ადაპტაციის ღონე. 4. დაკავირების პირობები: ა. როდესაც მხედველობის ველში წარმოდგენილია ერთი არათვითმანათობელი წყარო (დაკავირების იზოლირებული პირობები). ბ. როდესაც მხედველობის ველში წარმოდგენილია ერთზე მეტი არათვითმანათობელი წყარო (დაკავირების არაიზოლირებული პირობები). ამ დროს ფერის აღქმის პროცესში ერთვება ლატერალური ურთიერთქმედება მომიჯნავე ფერებს შორის, ხოლო სუსტი ან საშუალო ქრომატული განათებისას, აგრეთვე ფერების კონსტანტური აღქმის ფენომენი. გ. როდესაც არათვითმანათობელი წყარო (ან წყაროები) და თვითმანათობელი წყარო (ან წყაროები) ერთდროულად არიან წარმოდგენილი მხედველობის ველში და პირველი ნათლება მეორეთი ან სხვა დამატებითი თვითმანათობელი წყაროთ. დ. მხედველობითი სტიმულის ან სტიმულების სივრცული მახასიათებლები: ფორმა, კუთხეური ხომა, სტიმულების ურთიერთქმდებარეობა მხედველობის ველში (რაც განაპირობებს ლატერალურ ურთიერთქმედებას ფერებს შორის) და სხვა. ე. რა კუთხით უცემა სტიმულის ზედაპირს განათება და როგორი კუთხით აღიქმება იგი მხედველობის სისტემის მიერ, იმ შემთხვევაში, როდესაც სტიმულის ზედაპირი რელიეფურია. 5. მხედველობის სისტემის თავისებურება: ა. კერძოდ, ის რომ ერთნაირი ინტენსივობის თეთრი განათებისას ერთნაირი საშუალო ჯამური არეკვლის უნარის მქონე სხვადასხვა ქრომატული ფერის ზედაპირები, აღიგმება, როგორც სხვადასხვა სიკაშაშის მქონე სტიმულები. ბ. ის ფაქტი, რომ მხედველობითი ველის სხვადასხვა უბანში ერთი და იგივე ფერი სხვადასხვანაირად აღიქმება. კერძოდ, ექსცენტრისიტეტის ზრდასთან ერთად ფერები აღიქმება, როგორც ნაელებად მაძღარი.

როგორც თვითმანათობელი, ისე არათვითმანათობელი გამჭევირვალე, ან გაუმჯორვალე სინათლის წყაროების შემთხვევაში, ფერის აღქმის პროცესში მონაწილე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების განლაგება მათი დაახლოებითი ხელდროით წილის გათვალისწინებით, პირობითია. სხვადასხვა გარემოების გავლენით ეს თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს და შედარებით უფრო დაბალი ხელდროითი წილის მქონე სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს უფრო მაღალი ხელდროითი წილის მქონე ფაქტორის წინ.

ამგვარად, ფერის ფიზიკური კორელაცი დუალური ბუნებისაა. კერძოდ, მოცემული მიდამოს ფერითი კატეგორია ზოგჯერ განისაზღვრება მოცემული მიდამოდან მხედველობის სისტემისკენ მიმავალი ხილული გამოსხივების სების, ხოლო ზოგჯერ მოცემული მიდამოს ზედაპირის არეკვლის უნარის საფუძველზე. ამავე დროს, ფერის შეგრძნების ჩამოყალიბებაში, როგორც განხილული იყო, მონაწილეობს მთელი რიგი სხვა ობიექტური (ფიზიკური) და სუბიექტური (ფსიქოფიზიოლოგური) ფაქტორები. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, მხედველობის სისტემის ძირითადი სამუშაო რეჟიმი ბუნებრივ პირობებში განისაზღვრება არათვითმანათობელი გაუმჯორვალე ზედაპირების აღქმით დაკავირვების არაიზოლირებულ

პირობებში, სუსტი და საშუალო ქრომატულობის მქონე განათებისას, რომლის დროსაც თავს იჩენს ფერის კატეგორიის კონსტანტური აღქმის ფენომენი და ფერითი კატეგორიის განმსაზღვრელი ფიზიკური პარამეტრია ამ მიდამოს ზედაპირის არეკვლის უნარი. რაც შეეხება ფერების აღქმას, როდესაც ფერის კატეგორიის განმსაზღვრელი ფიზიკური პარამეტრია მოცემული მიდამოდან მხედველობის სისტემისაკენ მიმავალი ხილული გამოსხივების სებ, ბუნებრივ პირობებში ეს შედარებით იშვიათი მოვლენაა. ამგვარად, შეიძლება დაგუშვაო, რომ მხედველობის სისტემა, რომლის ძირითად დანიშნულებას, ფერების აღქმის თვალსაზრისით, წარმოადგენს არათვითმანათობელი განათებული ზედაპირების არეკვლის უნარის მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა, ამ ძირითად მიზანს ახორციელებს ფილოგნეზურად და ონტოგნეზურად ჩამოყალიბებული ალგორითმის საშუალებით. რაც შეეხება ფერების აღქმას სხვა სიტუაციებში, ის ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ ალგორითმის მოქმედების გვერდითი გამოვლინება, ასევე, მეორე მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ძირითადი ალგორითმის გარდა ჩამოყალიბდა სხვა, კონკრეტული სიტუაციების შესაბამისი, ქვეპროგრამები.

## შეცვალა

ავტორი მადლობას უხდის ბ. ფარქოსაძეს, ნ. ლომაშვილს და ქ. ანჯა-ფარიძეს სტატიის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

## ლიტერატურა

1. *Batrilesen C.J. Color Res. Appl.*, 1979a, 4, 119-137.
2. *Batrilesen C.J. Color Res. Appl.*, 1979b, 4, 143-155.
3. *Birch J.* In: *J. Cronly-Dillon* (Ed.), *Vision and visual dysfunction*. London: Macmillan Press, 1991, V. 7, 215-234.
4. *Hunt R.W.G. Color Res. Appl.*, 1985, 10, 12-19.
5. *Jameson D., Harwich L.M. J. Opt. Soc. Am.*, 1959, 49, 890-898.
6. *Land E.H. Sci. Am.*, 1977, 237, 108-128.
7. *Land E.H. Vision Res.*, 1986, 26, 1, 7-21.
8. *Palmer S.E. Vision science (Photons to phenomenology)*. Cambridge: MIT Press, 1999.
9. *Pokorny J., Shevell S. K., Smith V.C.* In: *J. Cronly-Dillon* (Ed.), *Vision and visual dysfunction*. London: Macmillan Press, 1991, V 6.
10. *Whittle P.* In: *Gilchrist A.L. (ed) – Lightness, brightness and transparency*. Erlbraum, Hillsdale, N.J., 1994.
11. *Zeki S. M. Discuss. in Neurosci.*, 1990, 2, 11-64.
12. *Zeki S. M. A Vision of the Brain*. Oxford: Blackwell Scientific Publications, 1993.

# ОБЪЕКТИВНЫЕ И СУБЪЕКТИВНЫЕ ФАКТОРЫ, УЧАСТВУЮЩИЕ В ЦВЕТОВОСПРИЯТИИ, И КЛАССИФИКАЦИЯ ЦВЕТОВ. ЧАСТЬ I: ФАКТОРЫ, УЧАСТВУЮЩИЕ В ЦВЕТОВОСПРИЯТИИ. ОБСУЖДЕНИЕ

*D. Janelidze*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

## РЕЗЮМЕ

Целью данной работы являлось рассмотрение объективных и субъективных факторов, участвующих в восприятии цвета, а также, одного из возможных вариантов классификации цветов. Предложенная классификация даёт возможность определить, какие объективные и субъективные факторы, участвующие в восприятии цвета, являются значимыми при данной конкретной разновидности цвета. В первой части статьи показано, что физический коррелят субъективного цвета имеет дуальную природу и иногда соответствует спектрально-энергетическому составу света, идущего от данной области к зрительной системе, а иногда отражательной способности поверхности данной области. Рассмотрены также другие объективные и субъективные факторы, участвующие в восприятии цвета. В зависимости от характеристик зрительного стимула, условий наблюдения и от функционального состояния зрительной системы, меняются как набор объективных и субъективных факторов, участвующих в восприятии цвета, так и удельная доля их участия в этом процессе.

# OBJECTIVE AND SUBJECTIVE FACTORS PARTICIPATING IN COLOR PERCEPTION AND COLOR CLASSIFICATION. PART I: COLOR PERCEPTION. DISCUSSION

*D. Janelidze*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

## SUMMARY

The aim of present work was to consider objective and subjective factors, which participate in the process of color perception, as well as one of the possible classifications of the colors. This classification allows determining which objective and subjective factors participating in color perception are significant in a case of each specific class of color. In the first part of the article, it is considered that physical correlate of subjective sensation of color has dual nature and sometimes it correlates with spectral-energetic content of light, which comes from given area to the visual system and sometimes with surface reflectance of given area. It is considered also other objective and subjective factors, which participate in color perception. According to the characteristics of visual stimulus, viewing conditions and functional state of the visual system, composition of objective and subjective factors, which participate in color perception, are changeable, as well as the share of each factor in this process.

## 06სტრუქცია ავტორთათვის

ქურალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სკრია – A” ბეჭდავს ბიომედიცინის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო წერილებს, რომელიც მანამდე არსად არ იყო დაბეჭდილი და რომელთა პუბლიკაცია სხვა გამოცემებში დაგვაგმილი არაა. წერილი უნდა შეიცავდეს ახალ, აქტუალურ მასალას, რომლის თემატიკა, მეთოდოლოგია და განსხვა შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს. წერილი არ უნდა შეიცავდეს მოძველებულ მონაცემებს და დაუსაბუთოებულ დასკვნებს. წერილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაერთოს რეზიუმე სამიერ აღნიშვნელ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემარტინდეს 250 სიტყვას, მაგრამ არ უნდა იყოს 1000 ნაბეჭდ ნიმანზე ნაკლები. რეზიუმე უნდა შეიცავდეს წერილის სრული ტექსტის ამსახველ მოკლე მაგრამ ადეკვატურ ინფორმაციას – კვლევის მიზანს, მეთოდებს, მიღებულ შედეგებს და გამომდინარე დასკვნებს.

საკუთრივ სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმების და ილუსტრაციების ხათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მომხმარებელი ხასიათის ან უფრო დიდი მოცულობის წერილები შურინალში იძეგდება მხოლოდ რედაქციის დაკვთით ან სარედაქციო კოლეგიის თანხმობით.

ორიგინალური უქსეპრომენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს მეცნიერებად სტანდარტული რუბრიკაციით - შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, (დამოწმებული) ლიტერატურა. უკანასკნელი მეცნიერებად ანაბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შექმნებული და, ბოლოს, დათინურანბანოვანი). ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო ნომრებით, კვადრატულ ფრჩხისა-ლებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს საკვანძო სიტყვების (key words) სია - არა ნაჯებ თოხისა და არა უმეტეს ათისა. ლიტერატურის სიაში საჭიროა მოტანილ იყოს კველა აგზორის გვარი, ინიციალებით, გამოცემის (ჟურნალის) სახელწოდება, წელი, ტომი, გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში, აუცილებელია სათაურიც და გამოცემის ქალაქი და გამოცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და ინიციალები.

წარმოდგენილი წერილი რედაქციაში უნდა შემოგეხვეს 2 ცალად პოლექსლილი ქაღალდის სტანდარტულ ფურცლებზე (A4), რომელსაც უნდა დაერთოს ზუსტად იგივე ტექსტის ელექტრონული ვერსია კომპიუტერულ დისკებზე (3,5"). ტექსტი უნდა აკრიფტოს კომპიუტერზე, 12 ფონტით, 1,5 ინტერვალით. ვერტიკალური მონიტორის დაცული უნდა იყოს ველები არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა. ქართული ტექსტი უნდა აიკრიფტოს AcadNusx და AcadMtavr ფონტებით, ხოლო რუსული და ინგლისური – Times New Roman-ით. ცხრილებში დაიშვება უფრო მცირე ზომის ფონტები. წერილის ტექსტი უნდა მომზადებს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და სურათები – Excel-ში. თუ სურათები Excel-ში არაა დაშავდებული, მაკაფიო გრაფიკები და ფიტოსურათები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. სურათების სეანირება და მათი წარმოდგენა გრაფიკული ფაილების სახით (jpg, bmp და სხვ) დაუშვებელია. ფერადი სურათები უკრნალში არ იძებნება. დისკებზე ჩაწერილი ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის გვარით უნდა იყოს აღნიშნული. კომპიუტერული დისკები უნდა იყოს მანამადე უსმარი, ვირუსებისგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა, უკრნალისთვის უსარგებლოვ მასალას. დისკება ავტორს არ უბრუნდება.

სურათების დაწერილებითი წარწერები უნდა დაიბჭდოს წერილის ტექსტის ბოლოს, იმავე ფაილში.

შურნალში წერილის ბეჭდება ავტორის (ავტორების) ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდების დასაფარავი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს რეცენზენტის დადგბით დასკვნის მიღებისთანავე. წერილის დაწუნების შემთხვევაში აეტორს (ავტორებს) უნდრუნდება წერილის ერთი პირი და წერილობითი რეცენზია. დისკუსტი ავტორებს არ უბრუნდება და ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქეს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის კრიტიკა უკანასკნელ შემთხვევაში წერილი განმეორებით გადაეცემა სარეცენზიონ სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) რომელიმე წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნა საბოლოოა და გასახიერებას არ ექვემდებარება. წერილს ხელს უნდა აწერდეს ყველა თანაავტორი. მითითებული უნდა იყოს იმ ავტორთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთობას რედაქციასთან.

წერილს უნდა დაერთოს იმ დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა (ნებართვა), რომელშიც შესრულებულია შრომა.

ყველა გამოქვეყნებული წერილი რუსული რეზიუმე იძებლება რუსეთის რეფერატული შურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ლაგოტუას ქ., № 14, ი.ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 312, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი – ალექსანდრე ქორელი.

ტელეფონი: 37-04-79, ელექტრონული ფოსტა: alex\_koreli@yahoo.com

40/7.

2-00